



სოციალური კვლევისა და ანალიზის
ინსტიტუტი

აჭარის ტელევიზიის და სხვა ტელეარხების მიმართ
აჭარის მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა

2015

სარჩევი

შემაჯამებელი დასკვნა	3
კვლევის მეთოდოლოგია.....	11
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	11
გამოყენებული მეთოდები	11
2. ტელეარხების ყურების სიხშირე.....	14
3. ქართული სატელევიზიო არხების მოწონება და შეფასება სხვადასხვა პარამეტრით	20
4. რესპონდენტთა შეფასებები სხვადასხვა, საინფორმაციო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და აჭარის ტელევიზიის არაპოლიტიკური თოქ-შოუების მიმართ.....	24
5. აჭარის ტელევიზიის საეთერო დროის გადანაწილება და პრიორიტეტები.....	38
7. აჭარის რადიოს გადაცემების მოსმენის სიხშირე და შეფასება	45

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის *ძირითად მიზანს და ამოცანებს* შეადგენდა როგორც ზოგადად აჭარის ტელევიზიის მიმართ, ისე მისი საინფორმაციო და სხვა მხატვრულ-შემოქმედებითი პროდუქტისადმი აჭარის რეგიონის, ქ. ოზურგეთისა და ქ. ფოთის მოსახლეობის ატიტუდების გამოვლენა და სხვადასხვა პარამეტრით მისი შეფასება; აგრეთვე, მაუწყებლის ადგილის განსაზღვრა სხვა ანალოგიურ საშუალებათა საქმიანობის (კონკურენციის) ჭრილში და იმ მოლოდინების იდენტიფიკაცია, რომლებსაც აჭარის მოსახლეობა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ფუნქციონირებას უკავშირებს.

გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი ტიპი, კერძოდ, მოსახლეობის მასობრივი გამოკითხვა.

კვლევის *გენერალური ერთობლიობას* წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. ოზურგეთის და ქ. ფოთის მოსახლეობა (18 წლის და ზემოთ); პირველადი ინფორმაციის შეგროვება მოხდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით; კვლევის *ინსტრუმენტი* იყო კითხვარი, რომელიც მოიცავდა ღია, დახურულ და ნახევრად დახურულ შეკითხვებს.

შერჩევის მოცულობა შეადგინა 616 რესპონდენტი. შერჩევის მოდელს წარმოადგენდა მრავალსაფეხურიანი სტრატეგიზირებული (კლასტერული) შერჩევა.

საველე სამუშაოები ჩატარდა 2015 წლის 8-20 მაისს.

მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისას გამოყენებულ იქნა უნივარიაციაული, ბივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზის მეთოდები.

ტელე-აუდიტორიის სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

აჭარის რეგიონში 18 წელს ზევით რესპონდენტები გამოიკითხნენ აჭარის რეგიონში, ქ. ოზურგეთში და ქ. ფოთში. გამოკითხულთა მესამედზე ოდნავ მეტი 33.3%-ი ახალგაზრდას, 37.0%-ი საშუალო თაობას, ხოლო 29.7% - უფროსს თაობას მიეკუთვნება.

გამოკითხულების ოჯახები, ძირითადად, 3-4 წევრიანია. გამოკითხულთა უმრავლესობა დაქორწინებულია. 4-5 წევრიანი ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი მაღალია მაღალმთიან აჭარაში.

რესპონდენტების 39.5%-ს სრული საშუალო განათლება აქვს, 31.2%-ს სრული უმაღლესი განათლება, ხოლო 19.4%-ს პროფესიულ-ტექნიკური განათლება. მათი რაოდენობა ვისაც არასრული საშუალო განათლება აქვს - მცირეა.

გამოკითხულთა მეოთხედი უმუშევარია, 16.7%-დიახსახლისი, ხოლო 16.4%-პენსიონერი. საბოლოო ჯამში, მათი რაოდენობა, ვინც ამჟამად დასაქმებულია (თვითდასაქმებულთა ჩათვლით) 40.2%-ია. მათი უმრავლესობა კერძო ორგანიზაციაში მუშაობს, დანარჩენი სახელმწიფო ორგანიზაციებში მუშაობს, ან თვითდასაქმებულია.

გამოკითხულთა უმრავლესობა მართლმადიდებელია. მუსულიმთა ხვედრითი წილი 29.2%-ს შეადგენს, ხოლო მათი პროცენტული მაჩვენებელი, ვინც არცერთი რელიგიის წარმომადგენელია, საკმაოდ დაბალია. ბათუმში მართლმადიდებლების რიცხვი მეტია, ვიდრე დანარჩენ აჭარაში, დაბა აჭარაში მუსულიმები 43.5%-ს შეადგენენ, ხოლო მაღალმთიან აჭარაში 64.6% (რაც 2-ჯერ აღემატება ბათუმში მუსულიმების რაოდენობას. ფოთსა და ქ. ოზურგეთში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია.

როგორც აჭარის მოსახლეობის, ასევე ქ. ფოთის და ქ. ოზურგეთის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალური მდგომარეობა საშუალოა. საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას, როგორც „ძალიან დაბალს“, რესპონდენტთა 2.2% აფასებს, ხოლო როგორც „დაბალს“ – 17.5%. საბოლოოდ, გამოკითხულთა მეოთხედი (19.7%) მიიჩნევს, რომ მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა საშუალოზე დაბალია.

ტელეარხების ყურების სიხშირე

აჭარის მოსახლეობის გამოკვეთილ უმრავლესობას (82.2%) ოჯახში ერთი ტელევიზორი აქვს. ბათუმის ოჯახებში გაცილებით მეტია ორი და მეტი ტელევიზორის მქონე ოჯახების რაოდენობა, ვიდრე დანარჩენ აჭარაში: ბათუმელ ოჯახებში ტელევიზორების რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი 1.5-ია, ხოლო დანარჩენ აჭარაში - 1.2.

აჭარის რეგიონის მოსახლეობა ტელევიზორს სამუშაო დღეებში საშუალოდ 3.8 საათი უყურებს, ხოლო არასამუშაო დღეებში - 4.4 საათი. განსხვავებაა ბათუმსა და დანარჩენ აჭარას შორის მაშინ, როდესაც საკითხი არასამუშაო დღეებში ტელევიზორის ყურებას ეხება: ბათუმელი მოქალაქეები დასვენების დღეებში ტელევიზორს საშუალოდ 4.1 საათი უყურებენ, ხოლო დანარჩენი აჭარის მაცხოვრებლები - საშუალოდ 4.8 საათი.

რაც უფრო მატულობს რესპონდენტთა ასაკი, მით უფრო იზრდება ტელევიზორის ყურების ხანგრძლივობა. მაგალითად, ახალგაზრდა თაობის (18-34 წწ.) რესპონდენტები არასამუშაო დღეებში ტელევიზორს უყურებენ საშუალოდ 4.1 საათი, საშუალო თაობის (35-54 წწ.) რესპონდენტები - 4.4 საათი, ხოლო უფროსი თაობის (55 წლის და მეტი) რესპონდენტები - 5.1 საათი.

აჭარაში გამოკითხულთა უმრავლესობა (53.9%) სამუშაო დღეებში ტელევიზორს საღამოს საათებში უყურებს; მნიშვნელოვანია იმათი ხვედრითი წილიც (36.7%), ვინც უსისტემოდ (ანუ, არა განსაზღვრულ საათებში) უყურებს ტელევიზორს.

გამოიკვეთა აჭარის რეგიონში ყველაზე უფრო ყურებადი ოთხი სატელევიზიო არხი: 1. რუსთავი 2 (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 58.8%); იმედი (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 62.2%); აჭარის ტელევიზია (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 52.7%); მაესტრო (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 25.6%). პირველი სამი სატელევიზიო არხის ყურების კონტექსტში, 2014 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემები დაახლოებით 8-10%-ით აღემატებოდა 2015 წლის მონაცემებს, ხოლო მაესტროს შემთხვევაში კი, მონაცემები განახევრებულია.

აჭარის რეგიონში მეტ-ნაკლებად ყურებადი ტელეარხებია: ა) რუსული არხები (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 17.9%, ხოლო კვირაში რამდენიმე საათი მაინც უყურებს 12.8%); ბ) პირველი არხი (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 11.3%, ხოლო კვირაში რამდენიმე საათი მაინც უყურებს მაყურებლების ზუსტად იგივე რაოდენობა). 2014 წელს რუსული არხების ნაცვლად წარმოდგენილი იყო პირველი არხი. 25-ე არხის ყურების პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა 2015 წელს.

ყველაზე არაყურებად/არახელმისაწვდომ არხებს შორის გამოიკვეთა: ა) ტვ 3 (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 95.9%); ბ) ტაბულა (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 92.3%); გ) ერთსულოვნება (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 91.1%) დ) კავკასია (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 88.3%) ე) სხვა უცხოური არხები (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 85.3%); ვ) მეორე არხი (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 81.5%); ზ) ობიექტივი (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 81.5%); თ) ჯიდიესი (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 80.9%).

მთლიანობაში, აჭარის ტელევიზიას, გარკვეული ინტენსივობით (ხშირად, ზოგჯერ ან იშვიათად) უყურებს აჭარის რეგიონის მოსახლეობის 94.7%, ხოლო არ უყურებს - 5.3%. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ძირითადი მიზეზი (ასახელებს 44.1%), რაც განაპირობებს აჭარის ტელევიზიის არყურებას, სხვა სატელევიზიო არხებით დაინტერესებაა; დასახელდა ისეთი მიზეზებიც, როგორიცაა დროის უქონლობა და ზოგადად ტელევიზიის მიმართ რეზისტენტულობა. 2014 და 2015 წწ. ჩატარებული კვლევების აღნიშნული მონაცემების ტენდენცია მსგავსია.

ბათუმში ტელეარხებს უფრო ნაკლები მაყურებელი ჰყავს, ვიდრე აჭარაში (რუსული და უცხოური ტელეარხების გარდა). ეს ტენდენცია პრაქტიკულად ყველა ტელეარხზე ვრცელდება, 2014 წლის მსგავსად.

რაც უფრო მატულობს რესპონდენტთა ასაკი, მით უფრო იზრდება ტელეარხების მაყურებელთა სიხშირე. მაგალითად, აჭარის ტელევიზიას ახალგაზრდა თაობიდან 45.6% უყურებს, საშუალო თაობიდან - 51.3%, ხოლო უფროსი თაობიდან - 57.8% (2014 წლის მსგავსად, თუმცა დაახლოებით 12%-ით შემცირდა უფროსი თაობის მაყურებელთა რიცხვი).

ოზურგეთსა და ფოთში ყველაზე უფრო ყურებადი ტელეარხები ტრადიციულად იმედი და რუსთავი 2-ია. რაც შეეხება აჭარის ტელევიზიას, ამ შემთხვევაში ორ ქალაქს შორის დიამეტრალური განსხვავებაა: ოზურგეთში აჭარის ტელევიზია ყველაზე უფრო ყურებადი ტელეარხების სამეულში შედის (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 28.0%, ხოლო რაღაც სიხშირით აჭარის ტელევიზიას 88.1% უყურებს), ხოლო ფოთში ის ყველაზე არაყურებად ტელეარხებს შორის იკავებს ადგილს (რაღაცა სიხშირით უყურებს მხოლოდ 9.3%).

ქართული სატელევიზიო არხების მოწონება და შეფასება სხვადასხვა პარამეტრით

რესპონდენტები განსაზღვრავდნენ ქართული ტელეარხების მიმართ საკუთარი მოწონების ხარისხს (შეფასება მოხდა 4 ბალიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „არ მომწონს“, ხოლო 4 – „მომწონს“. მონაცემების ანალიზი განხორციელდა საშუალოს (MEAN) გამოთვლით, სადაც ნეიტრალური წერტილია 2.5, რომლის ზემოთ მოწონების დადებითი ველია, ხოლო ქვემოთ - უარყოფითი).

რესპონდენტთა მოწონებას ყველაზე მეტად სწორედ ის არხები იმსახურებენ, რომლებსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს. ეს არხებია:

- იმედი (მოწონების საშუალო მაჩვენებელია (Mean) 3.5, 4 ქულიან სკალაზე: 1- „არ მომწონს“, 4 – „მომწონს“)
- აჭარის ტელევიზია (მოწონების საშუალო მაჩვენებელია (Mean = 3.5)
- მაესტრო (მოწონების საშუალო მაჩვენებელია (Mean = 3.3)
- რუსთავი 2 (Mean = 3.2)
- 25-ე არხი (მოწონების საშუალო მაჩვენებელია 3.2)

1-ელ არხს, იმედს და აჭარის ტელევიზიას ბათუმის გარეთ მოწონების უფრო კარგი საშუალო მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე ბათუმში (2014 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მხოლოდ აჭარის ტელევიზია ხასიათდებოდა ამგვარი ტენდენციით).

ტელეარხების სხვადასხვა პარამეტრით (ობიექტურობა, საინტერესოობა, სანდოობა და პროფესიონალიზმი) შეფასებისას ტენდენცია ნარჩუნდება: თითოეულ პარამეტრთან მიმართებაში ის ტელეარხები ხვდება მაღალი შეფასების ველში (Mean $\geq$ 3-ზე, 4 ქულიან სკალაზე), რომლებსაც ყურებადობის მაღალი მაჩვენებლები აქვთ (იმედი, რუსთავი 2, აჭარის ტელევიზია, მაესტრო და, გარკვეულწილად 25-ე არხი). თუმცა, სხვა რეიტინგულ არხებს რუსთავი 2-ის შეფასება ჩამორჩება ისეთ პარამეტრებთან მიმართებაში, როგორიცაა ობიექტურობა და სანდოობა.

აჭარის ტელევიზიას მაყურებლები თითქმის თანაბარ შეფასებას აძლევენ ყველა პარამეტრის მიხედვით. (Mean=3.4/3.5). 2014 წელს პროფესიონალიზმის პარამეტრის მიხედვით დაფიქსირდა ყველაზე დაბალი შეფასება აჭარის ტელევიზიის მიმართ.

აჭარის ტელევიზიას ოდნავ უკეთესად აფასებენ ბათუმის გარეთ (ვიდრე ბათუმში), ყველა პარამეტრის მიხედვით.

საინფორმაციო გადაცემების ყურების სიხშირე და მათი შეფასება სხვადასხვა პარამეტრის საფუძველზე

აჭარაში ყველაზე უფრო ყურებადი საინფორმაციო გადაცემებია (დალაგებულია პრიორიტეტების მიხედვით):

- „კურიერი“ (ტელეკომპანია „რუსთავი 2“) : ხშირად უყურებს 54%
- „დრო“ (აჭარის ტელევიზია): ხშირად უყურებს 51.3%
- „ქრონიკა“ (ტელეკომპანია „იმედი“): ხშირად უყურებს 48.1%

არცთუ ცუდი მაჩვენებლები აქვს ტელეკომპანია 25-ე არხის გადაცემა „მაცნეს“ (ხშირად უყურებს 21.2%), აგრეთვე მაესტროს გადაცემა „ახალ ამბებს“ (ხშირად უყურებს 20.1%).

მიუხედავად იმისა, რომ „კურიერი“ ყველაზე უფრო ყურებადი საინფორმაციო გადაცემაა, ობიექტურობის პარამეტრით ის ჩამორჩება ყველა დანარჩენ რეიტინგულ საინფორმაციო გადაცემებს („კურიერს“ ობიექტურად მიიჩნევენ ბათუმელი რესპონდენტების 44% და დანარჩენი აჭარის რესპონდენტების - 53.5%).

სანდოობის პარამეტრის მიხედვით „კურიერი“ კვლავ ჩამორჩება სხვა რეიტინგულ საინფორმაციო გადაცემებს. კერძოდ, „კურიერს“ ენდობა აჭარაში გამოკითხულთა 51.9%, მაშინ როდესაც „ქრონიკას“ ენდობა 56.8%, ხოლო „დროს“ 60.5%. ანალოგიური ტენდენცია დაფიქსირდა 2014 წელს (მცირე პროცენტული სხვაობით).

ოპერატიულობის და საინტერესოობის პარამეტრების მიხედვით, ყველა რეიტინგული საინფორმაციო გადაცემა მაღალ მაჩვენებლებს აჩვენებს.

აჭარის საინფორმაციო გამოშვება „დროს“ წამყვანებს თანაბარი, მაღალი შეფასება აქვთ (Mean=3.7 ყველა მათგანისათვის). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმში უფრო დაბალი შეფასებები აქვთ „დროს“ წამყვანებს, ვიდრე დანარჩენ აჭარაში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების ყურების სიხშირე და მათი შეფასება სხვადასხვა პარამეტრის საფუძველზე

სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებს შორის იკვეთება ე.წ. ორი ყურებადი გადაცემა (2014 წელს იკვეთებოდა 4 გადაცემა), ესენია:

- ✓ ტელეკომპანია იმედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „რეაქცია“ (წამყვანი: ინგა გრიგოლია): რეგულარულად უყურებს აჭარის მოსახლეობის 42.8%;

✓ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „არჩევანი“ (წამყვანი: გიორგი გაბუნია): რეგულარულად უყურებს - 27.7%;

მიუხედავად იმისა, რომ, ცალკე აღებული, კარგი მაჩვენებლები აქვს, **ობიექტურობის** პარამეტრის მიხედვით, გაბუნიას თოქ-შოუ „არჩევანი“ ჩამორჩება გრიგოლიას „რეაქციას“ (შესაბამისად, 60% და 71.2%-ს); (2014 წლის მონაცემებთან შედარებით გაზრდილია „რეაქციას“ **ობიექტურობის** მაჩვენებელი).

აქტუალობის პარამეტრის მიხედვით, „რეაქციას“ და „არჩევანს“ იდენტური მაჩვენებლები აქვთ (79.6% და 79.7%), განსხვავებით 2014 წლისგან, სადაც „რეაქციას“ აქტუალობის მაჩვენებელი აღემატებოდა „არჩევანის“ იმავე მაჩვენებელს.

საინტერესოების პარამეტრის მიხედვით იგივე სიტუაციაა, როგორც აქტუალობის პარამეტრის შემთხვევაში: „რეაქციას“ და „არჩევანს“ თითქმის იდენტური მაჩვენებლები აქვთ (78.3% და 77.8%); 2014 წლის მონაცემებისგან განსხვავებით, „რეაქციას“ აქტუალობის მაჩვენებელი აღემატებოდა „არჩევანის“ იმავე მაჩვენებელს.

სანდოობის პარამეტრის მიხედვით, 2014 წლის მონაცემების მსგავსად ლიდერობს „რეაქცია“ (68.9%), რაც დაახლოებით 10%-ით აღემატება „არჩევანის“ ხვედრით წილს (59.5%).

რაც შეეხება აჭარის ტელევიზიის მიერ მომზადებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებს („ფაქტორი“ და „პირისპირ“), მათი ყურების სიხშირე ასეთია: „ფაქტორს“ (ლამა ზარგინავა) რეგულარულად ან დრო და დრო უყურებს აჭარის მოსახლეობის 20.2%, ხოლო ადაცემას „პირისპირ“ (ცოტნე ანანიძე) – 13.7%.

რესპონდენტთა შეფასებები აჭარის ტელევიზიის არაპოლიტიკური გადაცემების მიმართ

აჭარის ტელევიზიაში, არაპოლიტიკურ გადაცემებს შორის, ყველაზე პოპულარულია „ერთი დღე სოფელში“, რომელსაც რესპონდენტების 44.5% რეგულარულად უყურებს. კარგი მაჩვენებლები აქვს გადაცემებს „სპორტი“, რომელსაც რეგულარულად აჭარის მოსახლეობის 15.5% უყურებს, „მე ვარ ფერმერი“ (13.9%), „ახალი დილა“ (13.7%), „სახლი ბათუმში“ (12.7%).

ყველაზე ნაკლებად ყურებადი გადაცემებია: „პროტოტიპი“, „პორტრეტი“, „მგზავრის წერილები“, „მოგზაურობა ფოლკლორში“, „საუბრები გენდერზე“, „ტელესპექტაკლი“, „ქვევრისპირული“, „გალერეა“, „ეთნოფორი“ და „ეკონომეტრი“, რომელთაც დაახლოებით 65-74% თითქმის არასდროს უყურებს.

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ არაპოლიტიკური გადაცემების მიმართ საკუთარი მოწონების ხარისხი (შეფასება ამჯერადაც განხორციელდა 4 ბალიან სკალაზე; იხ.

ზემოთ); შეფასებას ახორციელებდნენ მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებმაც უპასუხეს, რომ ხშირად, დრო და დრო ან იშვიათად უყურებდნენ ჩამოთვლილ გადაცემებს.

2015 წელს ყველა დასახელებული გადაცემა მოხვდა სკალის მაღალი შეფასების ველში (2014 წელს უარყოფითი შეფასების ველში მოხვდა 5 გადაცემა). 2014 წლის ყველაზე რეიტინგულმა გადაცემამ „ერთი დღე სოფელში“ 2015 წელსაც შეინარჩუნა წამყვანი პოზიცია (Mean=3.9), თუმცა, მეტ-ნაკლებად რეიტინგული გადაცემებიდან, დაემატა „აგრორჩევები“ (Mean=3.7).

აჭარის ტელევიზიის საეთერო დროის გადანაწილება და პრიორიტეტები

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ აჭარის ტელევიზიის საეთერო დროის გადანაწილება და პროპორცია გადაცემების ტიპებს შორის. აღმოჩნდა, რომ მათი 21%, ძირითადად, კმაყოფილია საინფორმაციო, გასართობ და საგანმანათლებლო/შემეცნებითი გადაცემების პროპორციით. უკმაყოფილოთა რაოდენობა, საერთო ჯამში (პასუხები „უფრო არ პასუხობს, ვიდრე კი“ და „ძირითადად არ პასუხობს“) 32.1%-ია, რაც ოდნავ ნაკლებია, საერთო ჯამში, კმაყოფილთა რაოდენობაზე (40.6%).

რესპონდენტთა მოსაზრებით, აჭარის ტელევიზიაში შედარებით მეტი დრო უნდა ეთმობოდეს საგანმანათლებლო/შემეცნებით გადაცემებს.

რესპონდენტთა მოსაზრებით, აჭარის ტელევიზიას ყველაზე მეტად აკლია საინფორმაციო გადაცემები (2014 წლის მონაცემების მსგავსად) და ასევე ჟურნალისტური გამოძიება.

ყველაზე ხშირად რესპონდენტებს ადგილობრივი, ქართული პროდუქციის ნახვა ურჩევნიათ. მეორე რიგში დიდია რუსული ტელეარხების ყურების მსურველთა რიცხვი, ხოლო მესამე რიგში დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის პროდუქციის ნახვის მსურველთა რაოდენობა (2014 წლის მონაცემებში არ ფიგურირებდა რუსული ტელეარხების ნახვის მსურველთა მაღალი ხვედრითი წილი). მსგავსი ტენდენციაა შენარჩუნებული ბათუმის და დანარჩენი აჭარის მონაცემების მიხედვითაც.

სხვადასხვა ატიტუდები აჭარის ტელევიზიის მიმართ

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „აჭარის ტელევიზია დამოუკიდებელი ტელევიზიაა, რომელიც ობიექტურად აშუქებს და აფასებს ქვეყანაში და აჭარაში მიმდინარე პროცესებს და არ არის ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი“. ბათუმში ამ მოსაზრებას 54.4%, ხოლო დანარჩენ აჭარაში - 73.6% აფიქსირებს.

შესაბამისად, ბათუმში მეტია ისეთ ადამიანთა რიცხვი (27.9%), რომელიც ფიქრობს, რომ „აჭარის ტელევიზია ვერ ახერხებს იყოს ქვეყანაში და აჭარაში მიმდინარე პროცესების ობიექტური გამშუქებელი, რადგან ხელისუფლების ინტერესების გამტარებელია“. (მონაცემები 2014 წლის ტენდენციას იმეორებს)

ანალოგიურად, გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ „აჭარის ტელევიზია გამოხატავს რეგიონში არსებული სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს, ეხმაურება მათ საჭიროებებს, პრობლემებს და არ არის მიმართული მხოლოდ კომერციული პროექტების განხორციელებაზე“. მათ რაოდენობა, ვინც ამ მოსაზრებას ეთანხმება, ბათუმში უფრო მცირეა (60.7%), ვიდრე დანარჩენ აჭარაში (70.9%). შესაბამისად, მათი ხვედრითი წილი, ვინც ფიქრობს, რომ „აჭარის ტელევიზია კომერციულ სარგებელზეა ორიენტირებული, არ ცდილობს გამოხატოს რეგიონში არსებული სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები, ასახოს მათი საჭიროებები და პრობლემები“, ბათუმში უფრო მაღალია და 24.2%-ს უდრის. მსგავსია ტენდენცია ასაკის მიხედვითაც.

აჭარის რადიოს გადაცემების მოსმენის სიხშირე და შეფასება

აჭარის რადიოს მიერ მომზადებული გადაცემები დაბალრეიტინგულია, მათ პრაქტიკულად მსმენელი არ ჰყავთ, ან უსმენს გამოკითხულთა მცირე რაოდენობა. მონაცემებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 85.7% საერთოდ არ უსმენს აჭარის რადიოს გადაცემებს. ყველაზე მეტი ადამიანი (47 რესპონდენტი - 9.2%) უსმენს მხოლოდ ერთ, 19 რესპონდენტი კი -2 გადაცემას. ბათუმსა და დანარჩენ აჭარაში ანალოგიური ტენდენცია ვლინდება.

რესპონდენტები განსაზღვრავდნენ აჭარის რადიოს მიმართ საკუთარი მოწონების ხარისხს (შეფასება მოხდა 5 ბალიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „ძალზე უარყოფით შეფასებას“ ხოლო 5 – „ძალზე დადებით შეფასებას“. მონაცემების ანალიზი განხორციელდა საშუალოს (MEAN) გამოთვლით, სადაც ნეიტრალური წერტილია 3, რომლის ზემოთ მოწონების დადებითი ველია, ხოლო ქვემოთ - უარყოფითი).

მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ გადაცემებს ძალზე ცოტა ადამიანი უსმენს, შეფასებები საკმაოდ მაღალია. ყველა გადაცემა აღმოჩნდა შეფასების დადებით ველში (Mean>3)

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (მაუწყებლობის) შინაარსის საზოგადოების მოთხოვნილებებთან, ინტერესებთან და ღირებულებებთან ადეკვატურობის განსაზღვრა.

კვლევის ამოცანებია:

- ✓ მაუწყებლის საინფორმაციო და სხვა მხატვრულ–შემოქმედებითი პროდუქტისადმი აჭარის, ქ. ოზურგეთისა და ქ. ფოთის მოსახლეობის ატიტუდების გამოვლენა და სხვადასხვა პარამეტრით მისი შეფასება;
- ✓ მაუწყებლის ადგილის განსაზღვრა სხვა ანალოგიურ საშუალებათა საქმიანობის (კონკურენციის) კრილში;
- ✓ იმ მოლოდინების იდენტიფიკაცია, რომლებსაც აჭარის რეგიონის, ქ. ოზურგეთის და ქ. ფოთის მოსახლეობა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ფუნქციონირებას უკავშირებს.

გამოყენებული მეთოდები

აღნიშნული მიზნის რეალიზაციისათვის გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი ტიპი.

რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. ოზურგეთის და ქ. ფოთის მასშტაბით.

კვლევის გენერალური ერთობლიობა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. ოზურგეთის და ქ. ფოთის მოსახლეობა (18 წლის და ზემოთ)

კვლევის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ

კვლევის ინსტრუმენტი: კითხვარი, რომელიც მოიცავს ღია, დახურულ და ნახევრად დახურულ კითხვებს

შერჩევის მოცულობა: 616 რესპონდენტი

შერჩევის მოდელი: მრავალსაფეხურიანი სტრატეფიცირებული (კლასტერული) შერჩევა. შერჩევის ეს მოდელი გამოირჩევა კვლევაში გეოგრაფიული და დემოგრაფიული მახასიათებლების რეპრეზენტატულობით.

- ✓ შერჩევის პირველადი ერთეული (PSU): აჭარის რეგიონში რაიონული ცენტრები და სოფლები, ქ. ფოთი და ქ. ოზურგეთი.
- ✓ შერჩევის მეორადი ერთეული (SSU): ოჯახები
- ✓ შერჩევის საბოლოო ერთეული (FSU): ოჯახის წევრები (18 წლის და მეტი).

შერჩევის ბაზა: საქართველოს ამომრჩეველთა სიები 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.

იმის გამო, ქ. ფოთში ვერ მოხერხდა საკმარისი რესპონდენტების პოვნა, რომლებიც საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს მაყურებლები და მსმენელები იქნებოდნენ, ამიტომ საჭირო გახდა რესპონდენტების მიზნობრივად მოძიება, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ქ. ფოთის მაცხოვრებლების საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროდუქტის მიმართ დამოკიდებულებების შესწავლა. ქ. ფოთში დამატებით გამოიკითხა 17 რესპონდენტი.

ინტერვიუების რაოდენობა წარმოდგენილია ცხრილში N1:

რეგიონი	ინტერვიუ	შერჩევის ცდომილება (90%-იანი საომედლობით)
ბათუმი	250	11.6%
მთიანი აჭარა (ქედა, შუახევი, ხულო)	100	8.2
დაბლობი (ქობულეთი, ხელვაჩაური)	150	6.7
აჭარა (ბათუმის გარდა)	250	5,2%
აჭარა მთლიანად	500	3.7%
ოზურგეთი	50	9.8%
ფოთი	67	13.0%
სულ გამოსაკითხი	616	3.4%

შერჩევის მოდელის დიზაინის პარალელურად მოხდა კვლევის ინსტრუმენტის – კითხვარის შემუშავება.

პილოტური კვლევა

კითხვარის შემუშავების შემდეგ, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა ჩაატარა პილოტური კვლევა (სულ 20 ინტერვიუ, აჭარის რეგიონში). რესპონდენტები შეირჩნენ სქესის, ასაკის და სხვა შესაბამისი დემოგრაფიული კრიტერიუმების საფუძველზე. საპილოტე ინტერვიუების ანალიზის შემდეგ მოხდა კითხვარის დახვეწა იმ უკუკითხვების საფუძველზე, რაც ინტერვიუების პროცესში გამოვლინდებოდა.

საველე სამუშაოები

კითხვარის საბოლოო დიზაინის შემდეგ, განხორციელდა სუპერვაიზორის და ინტერვიუერების (სულ 15 ინტერვიუერი) ტრენინგი.

საველე სამუშაოები 12 დღის განმავლობაში გრძელდებოდა (2015 წლის 08-20 მაისი). თითოეული ინტერვიუერი პასუხისმგებელი იყო დაახლოებით, 40 ინტერვიუს ჩატარებაზე. თითოეულმა ინტერვიუმ, საშუალოდ, 30-35 წუთი გასტანა.


მონაცემების დამუშავება და ანალიზი

თავდაპირველად მოხდა საველე სამუშაოების შედეგად შევსებული კითხვარების კოდირება და ფორმალიზაცია. შემდეგ - მონაცემების კომპიუტერში შეტანა. ფაილის “გაწმენდის” შემდეგ, მონაცემები დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის ფარგლებში (13.0 ვერსია). მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისას გამოყენებული იქნა უნივარიაციული, ბივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზის მეთოდები.

2. ტელეარხების ყურების სიხშირე


გამოკითხვა აჩვენებს, რომ აჭარის მოსახლეობის გამოკვეთილ უმრავლესობას (82.2%) ოჯახში ერთი ტელევიზორი აქვს. თუმცა, თუ ამ მონაცემს ქ. ბათუმის და დანარჩენი აჭარის ჭრილში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ბათუმის ოჯახებში გაცილებით მეტია ორი და მეტი ტელევიზორის მქონე ოჯახების რაოდენობა, ვიდრე დანარჩენ აჭარაში. კერძოდ, ბათუმელი ოჯახების 33% ფლობს ორ ტელევიზორს, მაშინ როდესაც ასეთთა წილი დანარჩენ აჭარაში 8.6%-ია. ამ განსხვავებას საშუალო მაჩვენებლებიც (Mean) აჩვენებს: ბათუმელ ოჯახებში ტელევიზორების რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი 1.5-ია, ხოლო დანარჩენ აჭარაში - 1.2. აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება 2014 წლის მონაცემებისაგან (იხ. დიაგრამა #1):

დიაგრამა #1



რაც შეეხება ტელევიზორის *ყურების ხანგრძლივობას* სამუშაო და არასამუშაო დღეებში, გამოკითხვა აჩვენებს, რომ აჭარის რეგიონის მოსახლეობა ტელევიზორს სამუშაო დღეებში საშუალოდ 3.8 საათი უყურებს, ხოლო არასამუშაო დღეებში - 4.4 საათი. განსხვავებაა ბათუმსა და დანარჩენ აჭარას შორის - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი არასამუშაო დღეებში ტელევიზორის ყურებას ეხება: ბათუმელი მოქალაქეები დასვენების დღეებში ტელევიზორს საშუალოდ 4.1 საათი უყურებენ, ხოლო დანარჩენი აჭარის მაცხოვრებლები - საშუალოდ 4.8 საათი. მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირებულა 2014 წლის მონაცემებთან შედარებით (იხ. დიაგრამა #2):

დიაგრამა #2



საინტერესოა, რომ ტელევიზორის ყურების სიხშირე დამოკიდებული აღმოჩნდა იმაზე, თუ რომელ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან რესპონდენტები. კერძოდ, რაც უფრო იმატებს რესპონდენტთა ასაკი, მით უფრო იზრდება ტელევიზორის ყურების ხანგრძლივობა. მაგალითად, ახალგაზრდა თაობის (18-34 წწ.) რესპონდენტები არასამუშაო დღეებში ტელევიზორს უყურებენ საშუალოდ 4.4 საათი, საშუალო თაობის (35-54 წწ.) რესპონდენტები - 4.8 საათი, ხოლო უფროსი თაობის (55 წლის და მეტი) რესპონდენტები - 5.1 საათი. აღსანიშნავია, რომ საშუალო მონაცემები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება 2014 წლის მონაცემებისაგან.

დეტალურად შედეგები იხ. ცხრილში #1:

ცხრილი #1:

	ასაკობრივი ჯგუფები		
	ახალგაზრდა თაობა (18-34 წწ.)	საშუალო თაობა (35-54 წწ.)	უფროსი თაობა (55 წ. და მეტი)
	საშუალო მაჩვენებლები (Mean)		
რამდენი საათი უყურებთ საშუალოდ დღეში, პირადად ტელევიზორს სამუშაო დღეებში?	3.6	4.1	4.7
რამდენი საათი უყურებთ საშუალოდ დღეში, პირადად ტელევიზორს არასამუშაო დღეებში?	4.4	4.8	5.1

კვლევა აჩვენებს, რომ აჭარაში გამოკითხულთა უმრავლესობა (53.9%) სამუშაო დღეებში ტელევიზორს საღამოს საათებში უყურებს; მნიშვნელოვანი იმათი ხვედრითი წილიც (36.7%), ვინც უსისტემოდ (ანუ, არა განსაზღვრულ საათებში) უყურებს ტელევიზორს. ამ თვალსაზრისით, სურათი არ იცვლება ბათუმისა და დანარჩენი აჭარის ჭრილში; არსებით ცვლილებებს არ იძლევა, აგრეთვე, ასაკობრივი განსხვავებები. აღსანიშნავია

მხოლოდ, რომ ახალგაზრდა თაობაში (18-34 წწ.) მატულობს ღამის საათებში ტელევიზორის მაყურებელთა რაოდენობა, საშუალო და უფროს თაობასთან შედარებით.

დეტალურად მონაცემები იხ. ცხრილში #2:

ცხრილი #2

ძირითადად რომელ საათებში უყურებთ, პირადად თქვენ, ტელევიზორს სამუშაო დღეებში?	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	ახალგაზრდა თაობა (18-34 წწ.)	საშუალო თაობა (35-54 წწ.)	უფროსი თაობა (55 წ. და მეტი)
	(%)					
დილის საათებში	2.0	3.8	1.3	1.8	3.3	0.5
დღის საათებში	4.3	2.1	5.1	1.5	8.2	2.8
სადამოს საათებში	53.9	50.2	55.2	50.0	55.7	56.0
ღამე	2.4	3.1	2.2	5.7		1.8
ულისტემოდ	36.7	38.4	36.1	40.0	32.8	37.8
მიჭირს პასუხის გაცემა	0.7	2.3	0.1	1.0		1.2

გამოკითხვა ითვალისწინებდა ცალკეული ტელეარხების ყურების სიხშირის დადგენას. რესპონდენტებისთვის შეთავაზებული იყო 14 კონკრეტული ქართული ტელეარხი; აგრეთვე, ორი კრებითი დასახელების არხები („რუსული არხები“ და „სხვა უცხოური არხები“).

დეტალურად გამოკითხვის შედეგები (მთელი აჭარის, ბათუმის და დანარჩენი აჭარის ჭრილებში) იხ. ცხრილში #3.1:

ცხრილი #3.1

სატელევიზიო არხები		ხშირად (ყოველ დღე რამდენიმე საათი მაინც)			ზოგჯერ (კვირაში რამდენიმე საათი მაინც)			იშვიათად (კვირაში 1-2 საათი მაინც)			თითქმის არ უყურებ/არ მაქვს მიღების საშუალება		
		აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა
1	1 არხი	5.8	4.1	7.5	18.1	22.7	13.6	23.5	24.9	22.1	52.5	48.4	56.7
2	2 არხი	0.5	-	0.9	1.2	0.8	1.6	16.9	20.0	13.8	81.5	79.3	83.7
3	რუსთავი 2	58.8	49.8	67.7	22.3	26.6	18.0	10.5	11.6	9.5	8.4	12.1	4.8
4	იმედი	62.2	53.2	71.1	20.9	26.7	15.0	10.7	11.9	9.5	6.3	8.2	4.3
5	კავკასია	1.2	1.2	1.1	4.8	7.6	1.9	5.7	7.9	3.6	88.3	83.3	93.4
6	მეტრო	25.8	22.5	29.0	19.0	18.2	19.8	16.5	19.6	13.4	38.7	39.7	37.7
7	აჭარის ტელევიზია	52.7	36.9	68.5	27.2	37.3	17.2	14.7	17.8	11.6	5.3	8.0	2.7
8	ტაბულა	1.0	0.8	1.2	-	-	-	6.7	5.3	8.2	92.3	93.9	90.7
9	ჯიდიესი	7.2	2.0	12.5	6.9	8.4	5.4	4.9	6.0	3.8	80.9	83.6	78.3
10	ტვ 3	0.4	0.8	-	1.0	1.7	0.4	2.7	4.9	0.4	95.9	92.6	99.3
11	ერთსულოვნება	1.0	2.0	-	1.2	2.5	-	6.7	7.4	6.0	91.1	88.1	94.0
12	ობიექტივი	4.7	5.4	4.0	5.8	6.9	4.6	8.0	11.0	5.1	81.5	76.7	86.3
13	25-ე არხი	11.3	9.6	13.1	11.3	14.1	8.5	20.1	25.2	15.0	57.3	51.1	63.4
14	რუსული არხები	17.9	21.1	14.8	12.8	20.0	5.6	6.8	9.1	4.5	62.5	49.9	75.0
15	სხვა უცხოური არხები	7.1	9.2	5.0	4.3	6.9	1.6	3.4	4.4	2.4	85.3	79.5	91.0

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს:

1. გამოიკვეთა აჭარის რეგიონში ყველაზე უფრო ყურებადი ოთხი სატელევიზიო არხი:

- რუსთავი 2 (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 58.8 %)
- იმედი (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 62.2 %)
- აჭარის ტელევიზია (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 52.7 %)
- მაესტრო (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 25.6 %)

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტენდენცია გამოიკვეთა 2014 წელს ჩატარებულ კვლევაში, თუმცა პროცენტული მაჩვენებლები პირველი სამი სატელევიზიო არხის შემთხვევაში დაახლოებით 8-10%-ით აღემატებოდა 2015 წლის მონაცემებს, ხოლო მაესტროს შემთხვევაში კი, მონაცემები განახევრებულია. (იხ. ცხრილი #3.2):

ცხრილი #3.2

სატელევიზიო არხები (2014 წლის მონაცემები)		ხშირად (ყოველ დღე რამდენიმე საათი მაინც)			ზოგჯერ (კვირაში რამდენიმე საათი მაინც)			იშვიათად (კვირაში 1-2 საათი მაინც)			თითქმის არ უყურებ/ არ მაქვს მიღების საშუალება		
		აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა
1	1 არხი	11.6	12.1	11.4	23.3	19.7	24.6	22.3	22	22.4	42.7	46.2	41.6
2	2 არხი	1.7	5	0.6	8	6.7	8.5	24.6	8.5	30	65.7	79.8	60.9
3	რუსთავი 2	69.3	54	74.5	18.4	18.7	18.3	5.9	11.1	4.2	6.3	16.2	3
4	იმედი	68.1	55.8	72.2	18.8	21.2	17.9	4.2	7.3	3.1	9	15.7	6.7
5	კავკასია	2.8	3.3	2.7	7.7	4.3	8.8	21.8	9.6	26	67.7	82.9	62.5
6	მაესტრო	51.6	44.3	54.1	17.9	10.3	20.4	11.2	10.7	11.4	19.3	34.8	14
7	აჭარის ტელევიზია	57.9	43.4	62.8	24.8	22.9	25.5	11.4	16.7	9.6	5.9	17	2.1
8	ტაბულა	1.40	0.6	1.6	12.1	5.1	14.5	17.9	7	21.6	68.6	87.3	62.2
9	ჯიდიესი	4.1	4.8	3.8	11	5.1	13	20.7	9.4	24.6	64.1	80.7	58.5
10	ტვ 3	1.8	2.8	1.5	9.7	10	9.6	20.5	9.2	24.3	68	78	64.6
11	ერთსულოვნება	2.4	6.5	1	10.7	7.6	11.7	19.8	10.6	22.9	67.1	75.3	64.4
12	ობიექტივი	4.2	14.7	0.6	12.1	8.7	13.3	21.6	8.4	26.1	62.1	68.3	60
13	25-ე არხი	19.7	23.2	18.6	20.6	17.2	21.7	12.4	12.7	12.3	47.3	46.9	47.4
14	რუსული არხები	2.4	3.6	2.1	8.8	4	10.4	17.7	4.5	22.1	71.1	88	65.4
15	სხვა უცხოური არხები	16.7	24.9	13.9	17	22.8	15	25.7	17.1	28.6	40.6	35.2	42.4

2. აჭარის რეგიონში მეტ-ნაკლებად ყურებადი ტელეარხებია:

- რუსული არხები (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 17.9%, ხოლო კვირაში რამდენიმე საათი მაინც უყურებს 12.8%)
- 25-ე არხი (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 11.3%, კვირაში რამდენიმე საათი მაინც უყურებს მაყურებლების ზუსტად იგივე რაოდენობა).

2014 წლის მონაცემებთან შედარებით ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა: მეტ-ნაკლებად ყურებადი კვლავ ორი არხი გამოიკვეთა, თუმცა პირველი არხი 2015 წელს ჩაანაცვლა რუსულმა ტელეარხებმა, 25-ე არხის ყურების პროცენტული მაჩვენებელი კი შემცირდა.

3. აჭარის რეგიონში ყველაზე არაყურებად/არახელმისაწვდომ არხებს შორის გამოიკვეთა:

- ტვ 3 (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 95.9%)
- ტაბულა (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 92.3%)
- ერთსულოვნება (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 91.1%)
- კავკასია (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 88.3%)
- სხვა უცხოური არხები (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 85.3%)
- მეორე არხი (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 81.5%)
- ობიექტივი (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 81.5%)
- ჯიდიესი (თითქმის არ უყურებს/არ აქვს მიღების საშუალება 80.9%)

4. თუ ტელეარხების ყურების სიხშირეს ბათუმისა და დანარჩენი აჭარის ქრთლში განვიხილავთ, იკვეთება ერთი ტენდენცია: ბათუმში ტელეარხებს უფრო ნაკლები მაყურებელი ჰყავს, ვიდრე აჭარაში. ეს ტენდენცია თითქმის ყველა ტელეარხზე ვრცელდება (რუსული და უცხოური ტელეარხების გარდა). მსგავსი ტენდენცია იკვეთებოდა 2014 წლის მონაცემების მიხედვითაც.


5. როგორც მონაცემები აჩვენებს, აჭარის ტელევიზიას არ უყურებს აჭარის რეგიონის მოსახლეობის 5.3%.¹ გამოკითხვამ აჩვენა, რომ ძირითადი მიზეზი, რაც განაპირობებს აჭარის ტელევიზიის იგნორირებას, სხვა სატელევიზიო არხებით დაინტერესებაა (ამ მიზეზს ასახელებს აჭარის ტელევიზიის არმყურებელთა 44.1%); გამოიკვეთა ისეთი მიზეზიც, როგორიცაა ზოგადად ტელევიზიის მიმართ რეზისტენტულობა. როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2014 და 2015 წწ. ჩატარებული კვლევების აღნიშნული მონაცემების ტენდენცია მსგავსია, თუმცა აჭარის ტელევიზიის იგნორირების ძირითადი მიზეზის ხვედრითი წილი 2015 წელს შემცირებულია. ამას გარდა, 3-ის ნაცვლად 2 მიზეზი იკვეთება და 12%-ით გაზრდილია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, ვისაც გაუჭირდა პასუხის გაცემა.

(იხ. დიაგრამა #3):

¹ იმ რესპონდენტებთან, რომლებმაც განაცხადეს, რომ აჭარის ტელევიზიას თითქმის არ უყურებენ, ინტერვიუ აღარ გრძელდებოდა, წყდებოდა.

დიაგრამა #3

რა არის ის მიზეზ(ებ)ი, რის გამოც არ უყურებთ
აქვარის ტელევიზიას?



შენიშვნა: პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს, რადგან რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთზე მეტი პასუხი

6. საინტერესო განსხვავებებს აჩვენებს ასაკობრივი ჯგუფი: რაც უფრო მაღალსაა რესპონდენტთა ასაკი, მით უფრო იზრდება ტელეარხების მაყურებელთა სიხშირე. მაგალითად, აჭარის ტელევიზიას ახალგაზრდა თაობიდან ხშირად 45.6% უყურებს, საშუალო თაობიდან - 51.3%, ხოლო უფროსი თაობიდან - 57.8%. იგივე ტენდენცია შეინიშნებოდა 2014 წელს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით 12 %-ით შემცირდა უფროსი თაობის მაყურებელთა რიცხვი.

3. ქართული სატელევიზიო არხების მოწონება და შეფასება სხვადასხვა პარამეტრით

რესპონდენტებმა გამოხატეს თავიანთი მოწონების ხარისხი ქართული სატელევიზიო არხების მიმართ. ცხადია, რესპონდენტები იწონებენ ან იწუნებენ იმ ტელეარხებს, რომლებსაც რაღაც სიხშირით (ხშირად, ზოგჯერ ან იშვიათად) უყურებენ. თუ რომელიმე რესპონდენტი აცხადებს, რომ თითქმის არ უყურებს ამა თუ იმ არხს, ის არ განსაზღვრავს საკუთარ მოწონებას ამ არხის მიმართ.

გამოკითხვის შედეგები ასეთია (იხ. ცხრილი #4):

ცხრილი #4

		აჭარა სულ		ბათუმი		დანარჩენი აჭარა	
		მოწონების პროცენტი/საშუალო მონაცემები (Mean)					
		(%)	Mean	(%)	Mean	(%)	Mean
1	1 არხი	27.8	2.9	18.0	2.8	39.5	3.0
2	რუსთავი 2	59.4	3.2	51.1	3.5	67.0	3.5
3	იმედი	59.6	3.5	52.9	3.5	66.1	3.6
4	მაესტრო	43.9	3.3	38.9	3.3	48.7	3.3
5	აჭარის ტელევიზია	58.2	3.5	42.9	3.3	72.5	3.6
6	25-ე არხი	36.4	3.2	32.9	3.2	41.0	3.2

შენიშვნები:

- საშუალო მონაცემები დათვლილია 4 ქულიან სკალაზე: 1-არ მომწონს; 2- უფრო არ მომწონს, ვიდრე მომწონს, 3 - უფრო მომწონს, ვიდრე არ მომწონს, 4 - მომწონს. აღნიშნულ სკალაზე ნეიტრალური წერტილია 2.5. მონაცემები, რომლებიც 2.5-ზე მეტია, შეესაბამება მოწონების ველს, ხოლო მონაცემები, რომლებიც 2.5-ზე ნაკლებია - არმოწონების ველს.
- არ არის მიზანშეწონილი ბათუმის და დანარჩენი აჭარის ჭრილში იმ ტელეარხების მოწონების მონაცემების დათვლა, რომელთაც მცირე მაყურებელი ჰყავთ ან რეგიონში არ არის წვდომა მოცემულ არხებზე. ამ შემთხვევაში სტატისტიკური ცდომილების მნიშვნელობა მაღალია და განზოგადებას არ ექვემდებარება. ასეთი ტელეარხებია: ტაბულა, ტვ3, ერთსულოვნება, პირველი არხი, კავკასია, ობიექტივი, სხვა უცხოური არხები, ჯიდიესი.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა მოწონებას ყველაზე მეტად სწორედ ის არხები იმსახურებენ, რომლებიც რეიტინგულია, ანუ, რომლებსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს. ეს არხებია:

- იმედი (მოწონების საშუალო მაჩვენებელია 3.5)
- აჭარის ტელევიზია (მოწონების საშუალო მაჩვენებელია 3.5)
- მაესტრო (მოწონების საშუალო მაჩვენებელია 3.3)
- რუსთავი 2 (მოწონების საშუალო მაჩვენებელია 3.2)
- 25-ე არხი (მოწონების საშუალო მაჩვენებელია 3.2)

რეიტინგული ტელეარხების მოწონების მაჩვენებლები არსებითად არ იცვლება ბათუმისა და დანარჩენი აჭარის ჭრილში. თუმცა, აღნიშვნას იმსახურებს ზოგიერთი განსხვავება: 1-ელ არხს, იმედს და აჭარის ტელევიზიას ბათუმის გარეთ მოწონების უფრო კარგი საშუალო მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე ბათუმში; 2014 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მხოლოდ აჭარის ტელევიზია ხასიათდებოდა ამგვარი ტენდენციით.

რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ სხვადასხვა პარამეტრით შეეფასებინათ ის სატელევიო არხები, რომლებსაც უყურებენ. შეფასება განხორციელდა 4 პარამეტრის მიხედვით: ა) ობიექტურობა; ბ) საინტერესოობა; გ) სანდოობა და დ) პროფესიონალიზმი.

ცხრილში #5 წარმოდგენილია, თითოეული პარამეტრის მიხედვით, ქართული ტელეარხების საშუალო შეფასებები; ამასთან, ბათუმი/დანარჩენი აჭარის ჭრილში მოცემულია მხოლოდ იმ ტელეარხების მონაცემები, რომლებსაც ანგარიშგასაწევი რაოდენობის მაყურებელი ჰყავთ (ესენია: იმედი, რუსთავი 2, აჭარის ტელევიზია, მაესტრო, 25-ე არხი და პირველი არხი)/ იხ. ცხრილი #5:

ცხრილი #5

		A პარამეტრი: ობიექტურობა			B პარამეტრი: საინტერესოობა			C პარამეტრი: სანდოობა			D პარამეტრი: პროფესიონალიზმი		
		აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა
		საშუალო მაჩვენებლები (Mean)											
1	1 არხი	3.0	2.8	3.1	3.0	2.8	3.2	3.0	2.9	3.2	3.4	3.4	3.5
2	2 არხი	2.5			2.7			2.7			3.3		
3	რუსთავი 2	3.2	3.1	3.2	3.6	3.5	3.6	3.2	3.1	3.2	3.7	3.7	3.7
4	იმედი	3.4	3.3	3.5	3.6	3.6	3.7	3.4	3.3	3.4	3.7	3.6	3.7
5	კავკასია	2.7			2.9			2.8			3.2		
6	მაესტრო	3.2	3.1	3.3	3.3	3.3	3.4	3.2	3.2	3.3	3.4	3.3	3.5
7	აჭარის ტელევიზია	3.5	3.3	3.6	3.5	3.4	3.6	3.4	3.2	3.6	3.4	3.3	3.5
8	ტაბულა	2.4			2.5			2.4					
9	ჯიდიესი	3.3			3.6			3.2			3.4		
10	ტვ 3	2.9			3.5			3.0			3.1		
11	ერთსულოვნება	3.2			3.1			3.2			3.2		
12	ობიექტივი	3.2			3.2			3.1			3.0		
13	25-ე არხი	3.2	3.2	3.3	3.2	3.2	3.2	3.2	3.2	3.3	3.1	3.2	3.1

შენიშვნები:

- საშუალო მონაცემები მოცემულ შემთხვევაშიც, თითოეულ პარამეტრთან მიმართებაში, დათვლილია 4 ქულიან სკალაზე, რომლის ნეიტრალური წერტილია 2.5. მონაცემები, რომლებიც 2.5-ზე მეტია, შეესაბამება ობიექტურობის/ საინტერესოობის/ სანდოობის/ პროფესიონალიზმის ველს, ხოლო მონაცემები, რომლებიც 2.5-ზე ნაკლებია - ტენდენციურობის/არასაინტერესოობის/არასაიმედოობის/არაპროფესიონალიზმის ველს.

ცხრილში მოტანილი მონაცემები საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით:

- ტენდენცია ნარჩუნდება: თითოეული პარამეტრის მიხედვით (ობიექტურობა, საინტერესოობა, სანდოობა და პროფესიონალიზმი), ის ტელეარხები ხვდება მაღალი შეფასების ველში, რომლებსაც ყურებადობის მაღალი მაჩვენებლები აქვთ (იმედი, რუსთავი 2, აჭარის ტელევიზია, მაესტრო და 25-ე არხი). თუმცა, სხვა რეიტინგულ არხებს რუსთავი 2-ის შეფასება ჩამორჩება ისეთ პარამეტრებთან მიმართებაში, როგორიცაა ობიექტურობა და სანდოობა.
- 2014 წლის კვლევისგან განსხვავებით, სადაც აჭარის ტელევიზიას მაყურებლები უფრო დაბალ ქულას (Mean=3.1) უწერდნენ პროფესიონალიზმში, ვიდრე ობიექტურობაში, საინტერესოობასა და სანდოობაში (თითოეული პარამეტრის

საშუალო მაჩვენებელი- 3.3), 2015 წლის მონაცემების მიხედვით თითოეული პარამეტრის თითქმის თანაბარი მაჩვენებლები ვლინდება.

- აჭარის ტელევიზიას ოდნავ უკეთესად აფასებენ ბათუმის გარეთ (ვიდრე ბათუმში), ყველა პარამეტრის მიხედვით. 2014 წელს გამოვლინდა 25-ე არხთან მიმართებაში შემდეგი ტენდენცია - ამ არხს, ყველა პარამეტრით, უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა ბათუმში, ვიდრე ბათუმის გარეთ. თუმცა 2015 წლის მაჩვენებლების მიხედვით ბათუმის და ბათუმის გარეთ მონაცემები თითქმის არ განსხვავდება.
- რუსთავი 2-ს და იმედს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ პროფესიონალიზმსა (Mean=3.7) და საინტერესოობაში (Mean=3.6)

4. რესპონდენტთა შეფასებები სხვადასხვა, საინფორმაციო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და აჭარის ტელევიზიის არაპოლიტიკური თოქ-შოუების მიმართ

4.1 საინფორმაციო გადაცემების ყურების სიხშირე და მათი შეფასება სხვადასხვა პარამეტრის საფუძველზე

2014 წლის მსგავსად, აჭარის ტელევიზიაში, საინფორმაციო გადაცემებს (ე.წ. „ნიუსებს“) შორის, ყველაზე პოპულარულია (ხშირად უყურებენ):

- „კურიერი“ (54%),
- „დრო“ (51.3%)
- „ქრონიკა“ (48.1%)

შედარებით კარგი მაჩვენებლები აქვს ორ გადაცემას (რომელსაც უყურებს გამოკითხულთა მეხუთედი)

- „მაცნე“ (21.2%)
- „ახალი ამბები“ (მაესტრო) (20.1%)

ამავე გადაცემებს აქვს პასუხის ვარიანტის - „ზოგჯერ“ მაღალი მაჩვენებლები. ნაკლებად ყურებადი გადაცემებია „ახალი ამბები“ (ტაბულა) და „დღეს“ (კავკასია) რომელთაც გამოკითხულთა დაახლოებით 83-94% თითქმის არ უყურებს (იხ. ცხრილი №7):

ცხრილი №7

საინფორმაციო გადაცემები	ხშირად (ყოველ დღე რამდენიმე საათი მაინც)			ზოგჯერ (კვირაში რამდენიმე საათი მაინც)			იშვიათად (კვირაში 1-2 საათი მაინც)			თითქმის არ ვუყურებ/არ მაქვს მიღების საშუალება		
	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა
„მომამბე“ – 1 არხი	10.0	6.0	14.6	16.6	19.6	13.0	20.1	20.1	20.1	53.4	54.3	52.4
„კურიერი“- რუსთავი 2	54.0	45.4	61.6	25.3	34.7	17.0	12.6	10.6	14.3	8.1	9.2	7.1
„ქრონიკა“ - იმედი	48.1	44.4	51.6	30.3	34.0	26.9	12.1	9.5	14.5	9.5	12.2	6.9
„დღეს“ - კავკასია	2.0	-	7.0	6.9	7.2	6.0	8.1	11.2	-	83.1	81.5	87.0
„ახალი ამბები“ - მაესტრო	20.1	14.5	25.5	20.6	25.4	16.0	13.9	17.3	10.6	45.4	42.9	47.9
„ახალი ამბები“ - ტაბულა	-	-	-	2.8	6.8	-	2.8	6.8	-	94.4	86.3	100.0
„დრო“- აჭარის ტელევიზია	51.3	34.3	67.3	21.3	25.6	17.2	15.8	23.3	8.8	11.6	16.8	6.7
„მაცნე“ - 25-ე არხი	21.2	16.6	27.4	12.0	12.1	11.8	8.9	11.6	5.3	57.9	59.7	55.5

ბათუმში, ყველაზე პოპულარული საინფორმაციო გადაცემაა („ნიუსი“) „ქრონიკა“ და „კურიერი“, რომელსაც ბათუმელების 44-45% - ხშირად, ხოლო მესამედზე ოდნავ ზოგჯერ (კვირაში რამდენიმე დღე მაინც) უყურებს. ყველაზე ნაკლებად ბათუმში უყურებენ „კავკასიის“ და „ტაბულას“ საინფორმაციო გამოშვებებს (პასუხის ვარიანტი „თითქმის არასდროს“ თითოეული გადაცემისთვის ვარირებს 81-86%-ის ფარგლებში), განსაკუთრებით აღსანიშნავია „ტაბულას“ საინფორმაციო გამოშვება, რომლებსაც, მონაცემების მიხედვით პრაქტიკულად მაყურებელი არ ჰყავს.

ბათუმისგან განსხვავებით აჭარის დანარჩენ ტერიტორიაზე უფრო ხშირად უყურებენ აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებას „დრო“ (67.3%) და „კურიერს“ (61.6%). ამ კატეგორიის რესპონდენტთა ნახევარი ასევე ხშირად უყურებს „ქრონიკას“. ბათუმის მსგავსად, ყველაზე ნაკლებად პოპულარულია „კავკასიის“ და „ტაბულას“ საინფორმაციო გამოშვებები.

მონაცემების ანალიზი ასაკის მიხედვითაც გაკეთდა. ამგვარი დაჯგუფების მიზანი იყო იმის გამოვლენა, თუ რომელი ასაკობრივი ჯგუფი რომელ „ნიუსს“ ანიჭებს უპირატესობას, თუმცა შედეგები ახალგაზრდებთან ძირითადი ტენდენციის მსგავსია. საშუალო ასაკის რესპონდენტებიც ყველაზე ხშირად იგივე საინფორმაციო გადაცემებს („ნიუსებს“) უყურებენ, რომლებიც ზოგად ტენდენციაში გამოიკვეთა. მოცულ შემთხვევაშიც მაყურებელი არ ჰყავს „ტაბულასა“ და „ტვპ“-ის საინფორმაციო გადაცემებს.

ოდნავ განსხვავებული მონაცემებია უფროსი თაობის წარმომადგენლებთან. ყველაზე პოპულარული „ნიუსები“ აქაც ძირითადი ტენდენციების მსგავსია. თუმცა, კარგი მაჩვენებლები აქვს „მაცნეს“ – 25-ე არხი (20.3%) და „ახალი ამბები“ - მაესტრო (18.2%). ყველაზე ნაკლებად ყურებადი საინფორმაციო გადაცემები ასევე ძირითადი ტენდენციების მსგავსია.

ყველაზე რეიტინგულ საინფორმაციო გადაცემებზე დეტალური ინფორმაცია ასეთია:

„კურიერი“ (რუსთავი 2):

გამოკითხულთა ნახევარზე ოდნავ მეტი (54%) აღნიშნავს, რომ ხშირად უყურებს რუსთავი 2 -ს საინფორმაციო გადაცემა „კურიერს“. გამოკითხულთა მხოლოდ 8.1% არ უყურებს „კურიერს“. ბათუმში გამოკითხულთა 45.4% აცხადებს, რომ საინფორმაციო გადაცემა „კურიერს“ ხშირად უყურებს, ხოლო დანარჩენ აჭარაში გამოკითხულთა უმრავლესობა (51.6%) აცხადებს იმავეს.

გადაცემა „კურიერთან“ მიმართებითაც ნარჩუნდება ტენდენცია, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლები უფრო ხშირად უყურებენ საინფორმაციო გადაცემებს, ვიდრე

ახალგაზრდა ან საშუალო ასაკის ადამიანები. „კურიერს“ ხშირად უყურებს უფროსი თაობის რესპონდენტების 55.3%, საშუალო ასაკის - 52.6% და ახალგაზრდების 42.9%.

უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მონაცემებთან შედარებით ძირითადი ტენდენციები შენარჩუნებულია, პროცენტული მაჩვენებლები მინიმალურად შეიცვალა. გამოვლინდა შემდეგი ძირითადი განსხვავებები: 1) ასაკის მიხედვით ჭრილში „კურიერის“ რეიტინგი შემცირდა საშუალო და უფროსი ასაკის მაყურებელთა შორის (დაახლოებით 10-15%-ით), მაშინ, როდესაც ახალგაზრდებთან თითქმის იგივე დარჩა. 2) თუ 2014 წელს დანარჩენ აჭარასთან შედარებით ბათუმში იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც „კურიერს“ არ უყურებენ, საგრძნობლად აღემატებოდა დანარჩენი აჭარის ამავე მაჩვენებელს, 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებლები თითქმის გათანაბრდა.

ქრონიკა“ (იმედი):

გამოკითხულთა შორის ყოველი მეორე ადამიანი აცხადებს, რომ ხშირად უყურებს იმედის საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკას“, ხოლო 9.5% საერთოდ არ უყურებს. საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკას“ ბათუმში რესპონდენტთა 44.4%, ხოლო დანარჩენ აჭარაში გამოკითხულთა უმრავლესობა - 51.6% - უყურებს ხშირად. დანარჩენ აჭარასთან შედარებით ბათუმში თითქმის ორჯერ მაღალია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც „ქრონიკას“ არ უყურებენ.

უფროსი თაობის ადამიანები „ქრონიკას“ თითქმის ორჯერ უფრო ხშირად უყურებენ, ვიდრე ახალგაზრდები ან საშუალო ასაკის წარმომადგენლები. უფროსი თაობის ადამიანების 55.1%, საშუალო ასაკის ადამიანების 53.2% და ახალგაზრდების 29.5% ხშირად უყურებს „ქრონიკას“.

ამრიგად, იკვეთება, რომ უფროსი და საშუალო ასაკის ადამიანები უფრო ხშირად უყურებენ „ქრონიკას“ და „კურიერს“. ახალგაზრდები და საშუალო ასაკის წარმომადგენლები, სხვა საინფორმაციო გადაცემებთან შედარებით, ხშირად „კურიერს“ უყურებენ.

2014 წლის მონაცემებთან შედარებით ძირითადი ტენდენციები მოცემულ შემთხვევაშიც შენარჩუნებულია. გამოვლინდა შემდეგი ძირითადი განსხვავებები: 1) შემცირდა იმ რესპონდენტთა რიცხი, რომლებიც „ქრონიკას“ თითქმის არ უყურებდნენ (დაახლ. 12%-ით). 2) ასაკის მიხედვით ჭრილში „ქრონიკის“ რეიტინგი შემცირდა უფროსი ასაკის მაყურებელთა შორის (დაახლ 18%-ით), საშუალო ასაკის რესპონდენტებთან - გაიზარდა (დაახლ. 10%-ით), ხოლო ახალგაზრდებთან თითქმის იგივე დარჩა.

„დრო“ (აჭარის ტელევიზია):

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება „დროს“ აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა (51.3%) ხშირად უყურებს. აღსანიშნავია ის განსხვავება, რაც ამ გადაცემასთან მიმართებაში ბათუმელებს და დანარჩენი აჭარის მოსახლეობას გამოარჩევს: ბათუმში გამოკითხულთა 34% და დანარჩენ აჭარაში გამოკითხულთა 67.3% აცხადებს, რომ ხშირად უყურებს „დროს“. ახალგაზრდების 29.4%, საშუალო ასაკის ადამიანების 65.6% და უფროსი თაობის ადამიანები 58.8% უყურებს ხშირად „დროს“.

2014 წლის მონაცემებთან შედარებით ძირითადი მონაცემები თითქმის იგივეა, განსხვავებები შეინიშნება ასაკის მიხედვით ჭრილში, კერძოდ: ახალგაზრდებთან და უფროსი თაობის მაყურებლებთან „დროს“ რეიტინგი გაუარესდა დაახლოებით 10-15%-ით.

თითოეული საინფორმაციო გადაცემა შეფასდა *ოთხი პარამეტრის* საფუძველზე: ობიექტურობა, ოპერატიულობა, საინტერესოობა და სანდოობა.

ქვემოთ მოტანილია, თითოეული პარამეტრის მიხედვით, ყველაზე უფრო რეიტინგული საინფორმაციო გადაცემების შეფასება.

ობიექტურობის პარამეტრი:

მიუხედავად იმისა, რომ „კურიერი“ ყველაზე უფრო ყურებადი საინფორმაციო გადაცემაა, ობიექტურობის პარამეტრით ის ჩამორჩება ყველა დანარჩენ რეიტინგულ საინფორმაციო გადაცემებს („დრო“, „ქრონიკა“, მაესტროს „ახალი ამბები“).

უფრო კონკრეტულად:

ბათუმსა და დანარჩენ აჭარაში „კურიერის“ მაყურებელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „კურიერი“ ობიექტური საინფორმაციო გადაცემაა (ბათუმში 44% და დანარჩენ აჭარაში - 53.5%). ბათუმში „კურიერის“ მაყურებელთა 11.2% და დანარჩენ აჭარაში 9.3% მიიჩნევს აღნიშნულ გადაცემას ტენდენციურად. თუ 2014 წელს „კურიერის“ მიმართ შუა ხნის ასაკისა და უფროსი თაობის ადამიანებთან შედარებით კრიტიკულად განწყობილნი ახალგაზრდები იყვნენ, 2015 წელს აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა და მნიშვნელოვანი განსხვავება აღარ აღინიშნება ასაკობრივ ჯგუფებში „კურიერის“ ობიექტურობის შეფასების თვალსაზრისით (თუმცა ოდნავ მაღალი მაჩვენებელი კრიტიკული შეფასების თვალსაზრისით მაინც ახალგაზრდებს აქვთ).

როგორც ბათუმში, ასევე დანარჩენ აჭარაში გამოკითხულთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ „ქრონიკა“ ობიექტური საინფორმაციო გადაცემაა. (ბათუმში: 48% და დანარჩენ აჭარაში: 59.3%). 2014 წელს დანარჩენ აჭარაში დაახლოებით 15%-ი მეტი იყო იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, ვინც „ქრონიკას“ ობიექტურად მიიჩნევდა, ბათუმთან

შედარებით. „ქრონიკა“ ტენდენციურ გადაცემად ბათუმში მაყურებელთა 2.7%-ს, ხოლო დანარჩენ აჭარაში 1.8%-ს მიაჩნია. „ქრონიკის“ მიმართ ყველაზე ნაკლებად კრიტიკულად განწყობილნი ახალგაზრდები და უფროსი თაობის მაყურებლები არიან: ახალგაზრდების 14.1% და უფროსი თაობის 14.3% მიიჩნევს, რომ „ქრონიკა“ ტენდენციური ან უფრო ტენდენციური გადაცემაა.

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემა „დრო“ მაყურებელთა უმრავლესობას (59.1%) ობიექტურად მიაჩნია. თუმცა 2014 წლის მონაცემებისგან განსხვავებით, სადაც ბათუმსა და დანარჩენ აჭარაში მსგავსი მაჩვენებლები ფიქსირდებოდა, 2015 წელს აღმოჩნდა, რომ დანარჩენ აჭარაში უფრო მეტი რესპონდენტი მიიჩნევს „დროს“ ობიექტურ გადაცემად (68.7%), ვიდრე ბათუმში (47.8%) „დროს“ ტენდენციურად ან უფრო ტენდენციურად გამოკითხულთა 6.2% მიიჩნევს (რაც 10%-ით ნაკლებია 2014 წლის მონაცემზე). „დროს“ კრიტიკულად აფასებენ ახალგაზრდები, მათ 17.4%-ს მიაჩნია, რომ ის ტენდენციური ან უფრო ტენდენციურია, მაშინ როცა საშუალო ასაკის ადამიანების 4.3% და უფროსი თაობის 6% მიიჩნევს, რომ „დრო“ ტენდენციური ან უფრო ტენდენციური გადაცემაა.

ოპერატიულობის პარამეტრი:

ოპერატიულობის პარამეტრის მიხედვით, ყველა რეიტინგული საინფორმაციო გადაცემა მაღალ მაჩვენებლებს აჩვენებს. კერძოდ:

„კურიერი“ ოპერატიულად მიაჩნია აჭარაში გამოკითხულ მაყურებელთა 76.1%-ს. „კურიერის“ ოპერატიულობის მიმართ ნაკლებად კრიტიკულად განწყობილნი არიან სამივე თაობის ადამიანები (განსხვავებით 2014 წლის მონაცემებისაგან, სადაც შედარებით ნაკლები იყო ოპერატიულობის მაჩვენებელი და უფროსი თაობა გამოიკვეთა როგორც შედარებით კრიტიკულად განწყობილი).

2014 წელთან შედარებით გაზრდილია ოპერატიულობის მაჩვენებელი „ქრონიკასთან“ მიმართებაში ოპერატიულად მიიჩნევს გამოკითხულ მაყურებელთა უმრავლესობა (75.5%), ხოლო არაოპერატიულად (ან უფრო არაოპერატიულად) – 2.7%. ასაკობრივ ჭრილში (2014 წლის მონაცემებისგან განსხვავებით, სადაც ახალგაზრდების მეტი კრიტიკულობა დაფიქსირდა).

გადაცემა „დრო“ აჭარაში გამოკითხულ მაყურებელთა 65.9%-ის მოსაზრებით ოპერატიულია, ბათუმში გამოკითხულ მაყურებელთა 58.9% და დანარჩენ აჭარაში გამოკითხულთა 71.9% მიიჩნევს „დროს“ ოპერატიულ გადაცემად. ახალგაზრდების 61.3%, საშუალო ასაკის ადამიანების 59% და უფროსი თაობის 56.8% აფასებს „დროს“ როგორც ოპერატიულ გადაცემას. 2014 წელთან შედარებით, ძირითადი ტენდენციები შენარჩუნებულია, სახეზეა მხოლოდ მცირე პროცენტული ცვლილებები.

საინტერესოობის პარამეტრი:

ყველა რეიტინგულ საინფორმაციო გადაცემას მაღალი მაჩვენებლები აქვს საინტერესოების თვალსაზრისითაც. კერძოდ:

„კურიერი“ საინტერესო გადაცემა აჭარაში გამოკითხულ მაყურებელთა 69.7%-თვის (მაჩვენებელი გაზრდილია დაახლ. 11%-ით 2014 წელთან შედარებით). ეს გადაცემა საინტერესო ყველაზე მეტად უფროსი თაობის ადამიანებისთვისაა, მათ 72.8%-ს მიაჩნია, რომ „კურიერი“ საინტერესოა, მაშინ როცა ახალგაზრდების და საშუალო ასაკის ადამიანების დაახლოებით 66% მიიჩნევს „კურიერს“ საინტერესოდ. მსგავსი ტენდენცია შეინიშნებოდა 2014 წელს.

„ქრონიკა“ საინტერესოა აჭარის მაცხოვრებელთა 68.9%-თვის (ამ შემთხვევაშიც გაზრდილია მაჩვენებელი 2014 წელთან შედარებით); ახალგაზრდების 61.4%, საშუალო ასაკის ადამიანების 67.7% და უფროსი თაობის 64.9% მიიჩნევს, რომ „ქრონიკა“ საინტერესო გადაცემაა. იგივე ტენდენცია დაფიქსირდა 2014 წელს, მცირეოდენი პროცენტული სხვაობებით.

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემა „დრო“ საინტერესოა აჭარაში გამოკითხულ მაყურებელთა 66.4%-თვის (წინა წლის მონაცემებთან შედარებით, საინტერესოების მაჩვენებელი გაუარესდა დაახლ. 13%-ით); ამასთან, ბათუმში გამოკითხულ მაყურებელთა 56.2%-თვის, ხოლო დანარჩენ აჭარაში გამოკითხულთა 74.9%-თვის (2014 წელს საინტერესოების მაჩვენებელი ბათუმის და დანარჩენი აჭარის მიხედვით დაახლ. 80%-ს შეადგენდა. ჩანს, რომ გაუარესება განსაკუთრებით ბათუმში შეინიშნება). ახალგაზრდების 52.5%-ისთვის და საშუალო ასაკის ადამიანებისა და უფროსი თაობის ადამიანების დაახლ. 58%-თვის „დრო“ საინტერესო გადაცემაა. ზემოაღნიშნული იმეორებს 2014 წლის ტენდენციას გარკვეული პროცენტული განსხვავებებით მაჩვენებლების გაუარესების თვალსაზრისით.

სანდოობის პარამეტრი:

საინტერესოა, რომ სანდოობის პარამეტრის მიხედვით „კურიერი“ ჩამორჩება სხვა რეიტინგულ საინფორმაციო გადაცემებს. კერძოდ, „კურიერს“ ენდობა აჭარაში გამოკითხულთა 51.9%, მაშინ როდესაც „ქრონიკას“ ენდობა 56.8%, ხოლო „დროს“ 60.5%. ანალოგიური ტენდენცია დაფიქსირდა 2014 წელს (მცირე პროცენტული სხვაობით).

ქვემოთ მოცემულია **ოთხი პარამეტრის** (ობიექტურობა, ოპერატიულობა, საინტერესოობა და სანდოობა) საშუალო მაჩვენებლები (MEAN). ცხრილში # წარმოდგენილია, თითოეული პარამეტრის მიხედვით, საინფორმაციო გადაცემების („ნიუსების“) საშუალო შეფასებები; ამასთან, ბათუმი/დანარჩენი აჭარის ჭრილში მოცემულია მხოლოდ იმ „ნიუსების“ მონაცემები, რომლებსაც ანგარიშგასაწევი რაოდენობის მაყურებელი ჰყავთ (ესენია: კურიერი, ქრონიკა 2, დრო)(იხ. ცხრილი #8):

ცხრილი № 8

		A პარამეტრი: ობიექტურობა			B პარამეტრი: ოპერატიულობა			C პარამეტრი: საინტერესოობა			D პარამეტრი: სანდოობა		
		აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა
		საშუალო მაჩვენებლები (Mean)											
1	„მომბე“ – 1 არხი	3.3			3.5			3.5			3.4		
2	„კურიერი“ - რუსთავი 2	3.2	3.1	3.2	3.7	3.7	3.6	3.5	3.5	3.5	3.2	3.2	3.2
3	„ქრონიკა“ - იმედი	3.4	3.4	3.5	3.7	3.8	3.7	3.6	3.6	3.7	3.4	3.4	3.5
4	„დღეს“ - კავკასია	2.6			2.6			3.2			3.3		
5	„ახალი ამბები“ - მაესტრო	3.4			3.5			3.5			3.4		
6	„ახალი ამბები“ - ტაბულა	2.5			3.0			3.0			3.0		
7	„მთავარი ამბები“ - ტვ 3	-			-			-			-		
8	„დრო“- აჭარის ტელევიზია	3.5	3.4	3.7	3.6	3.5	3.7	3.6	3.5	3.7	3.6	3.4	3.7
9	„მაცნე“ - 25-ე არხი	3.4			3.5			3.3			3.5		

შენიშვნა:

- საშუალო მონაცემები მოცემულ შემთხვევაში, თითოეულ პარამეტრთან მიმართებაში, დათვლილია 4 ქულიან სკალაზე, რომლის ნეიტრალური წერტილია 2.5. მონაცემები, რომლებიც 2.5-ზე მეტია, შეესაბამება ობიექტურობის/ოპერატიულობის /საინტერესოობის /სანდოობის ველს, ხოლო მონაცემები, რომლებიც 2.5-ზე ნაკლებია - ტენდენციურობის/არაოპერატიულობის/არასაინტერესოობის/არასანიმედოობის ველს

საშუალო მაჩვენებლებით ჩანს, რომ:

- არც ერთი საინფორმაციო გამოშვება („ნიუსი“) არ აღმოჩნდა დაბალი შეფასების ველში, არცერთი პარამეტრის მიხედვით (ობიექტურობა, ოპერატიულობა, საინტერესოობა, სანდოობა);
- მხოლოდ ორი საინფორმაციო გადაცემა („ნიუსი“) აღმოჩნდა სკალის ნეიტრალურ წერტილზე, „ობიექტურობის“ მიხედვით - „დღეს“ - კავკასია (Mean=2.6) და „ახალი ამბები“ - ტაბულა (Mean=2.5). ამას გარდა, კავკასიის საინფორმაციო გამოშვებას იგივე საშუალო მაჩვენებელი აქვს „ოპერატიულობის“ პარამეტრის მიხედვითაც;

- თითოეული პარამეტრის მიხედვით (ობიექტურობა, ოპერატიულობა, საინტერესოობა, სანდოობა), ის საინფორმაციო გადაცემები („ნიუსები“) ხვდება მაღალი შეფასების ველში, რომლებსაც ყურებადობის მაღალი მაჩვენებლები აქვთ (ქრონიკა, კურიერი, დრო), თუმცა „კავკასიისა“ და „ტაბულას“ საინფორმაციო გამოშვებების გარდა (ობიექტურობის პარამეტრი) სხვა „ნიუსებსაც“ მაღალი შეფასება აქვთ ($Mean > 3$). უნდა აღინიშნოს, რომ სხვა რეიტინგულ საინფორმაციო გადაცემებს რუსთავი 2-ის შეფასება ოდნავ ჩამორჩება ისეთ პარამეტრებთან მიმართებაში, როგორიცაა ობიექტურობა, საინტერესოობა და სანდოობა.
- „კურიერსა“ და „ქრონიკას“ შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ ოპერატიულობის ($Mean = 3.6$, $Mean = 3.7$), ხოლო „დროს“ - ოპერატიულობა/საინტერესოობა/სანდოობის მიხედვით.

რესპონდენტებს ოთხ ბალიან სკალაზე უნდა შეეფასებინათ აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვების „დროს“ წამყვანების მოწონების ხარისხი. მოწონება-არმოწონებას განსაზღვრავდნენ მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებმაც უპასუხეს, რომ ხშირად, ზოგჯერ ან იშვიათად უყურებდნენ ზემოთ აღნიშნულ საინფორმაციო გადაცემებს („ნიუსებს“). მონაცემების ანალიზი განხორციელდა საშუალოს (MEAN) საშუალებით, სადაც ნეიტრალური წერტილია 2.5, რომლის ზემოთ მოწონების დადებითი ველია, ხოლო ქვემოთ - უარყოფითი.

როგორც ვხედავთ, აჭარის საინფორმაციო გამოშვება „დროს“ წამყვანებს თანაბარი, მაღალი შეფასება აქვთ ($Mean = 3.7$ ყველა მათგანისათვის). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმში უფრო დაბალი შეფასებები აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილ წამყვანებს, ვიდრე დანარჩენ აჭარაში. (იხ. ცხრილი №9):

ცხრილი №9

რამდენად მოგწონთ აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება „დროს“ წამყვანები?	საშუალო ქულა	ბათუმი	დანარჩენი აჭარა
გიორგი წულაია	3.7	3.7	3.8
თეონა თურმანიძე	3.7	3.6	3.8
სოფო ხელაძე	3.7	3.6	3.7
ნინო ჩიტაიშვილი	3.7	3.7	3.8
ნინო გორჯალაძე	3.7	3.6	3.7

ასაკის მიხედვით, აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება „დროს“ წამყვანებს საშუალო ასაკის მაყურებელი შედარებით უფრო მაღალ შეფასებას აძლევს. შედარებით ყველაზე დაბალი შეფასება აქვთ წამყვანებს ახალგაზრდა მაყურებლებს შორის (იხ. ცხრილი №10):

რამდენად მოგწონთ აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება „დროს“ წამყვანები? (ასაკის მიხედვით)	ახალგაზრდები (18-34 წლის)	საშუალო ასაკის (35-54 წლის)	უფროსი თაობა (55 და მეტი წლის)
გიორგი წულაია	3.6	3.9	3.7
თეონა თურმანიძე	3.5	3.9	3.8
სოფო ხელაძე	3.5	3.8	3.7
ნინო ჩიტაიშვილი	3.6	3.9	3.7
ნინო გორჯალაძე	3.6	3.9	3.7

4. 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების ყურების სიხშირე და მათი შეფასება სხვადასხვა პარამეტრის საფუძველზე

სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებს შორის იკვეთება ე.წ. ორი ყურებად გადაცემა, ესენია:

- ✓ ტელეკომპანია იმედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „რეაქცია“ (წამყვანი: ინგა გრიგოლია);
- ✓ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „არჩევანი“ (წამყვანი: გიორგი გაბუნია);

2014 წლის გამოკითხვის მიხედვით პირველი ორ ადგილზე მყოფი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ შოუ ანალოგიურად გადანაწილდა, თუმცა, დამატებით აღინიშნა (ყურებად გადაცემებს შორის), აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „არჩევანის დრო“ (წამყვანი: ლაშა ზარგინავა) და ტელეკომპანია მანკოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „მანკოს ცხრიანი“ (წამყვანები: ირაკლი ჩიხლაძე და ხატია ქვათაძე).

თოქ-შოუ „არჩევანს“ რეგულარულად უყურებს გამოკითხულთა 27.7%, ხოლო 38.3% საერთოდ არ უყურებს. ბათუმში „არჩევანს“ რეგულარულად გამოკითხულთა 15.8%, ხოლო დანარჩენ აჭარაში 38.3% უყურებს. ბათუმში „არჩევანს“ არ უყურებს გამოკითხულთა 44%, დანარჩენ აჭარაში კი - 33.2%. რეგულარულად „არჩევანს“ უყურებს უფროსი თაობის ადამიანების 36%, საშუალო ასაკის ადამიანებს შორის ყოველი მესამე და ახალგაზრდების 16%. უნდა ითქვას, რომ 2014 წლის მონაცემებთან შედარებით მაჩვენებლები თითქმის არ არის შეცვლილი (არ აღემატება 1-2%-ს). მცირედი განსხვავებაა ბათუმის და დანარჩენი აჭარის მაყურებლებს შორის, სადაც

„არჩევანის“ რეიტინგი 5%-ით გაუარესდა, დანარჩენ აჭარაში რეიტინგის პროპორციულად ზრდის ხარჯზე.

კვლევის შედეგების მიხედვით, 2014 წელთან შედარებით, გაზრდილია „რეაქციის“ რეიტინგი. თუ 2014 წელს გამოკითხულთა შორის ყოველი მესამე ადამიანი რეგულარულად უყურებდა თოქ-შოუ „რეაქციას“, ამჯერად „რეაქციის“ რეგულარულად მაყურებელთა ხვედრითი წილი 42.8%-ია. გამოკითხულთა 22.5% საერთოდ არ უყურებს „რეაქციას.“ ბათუმში გამოკითხულთა 28.4% და დანარჩენ აჭარაში 22.6% რეგულარულად უყურებს თოქ-შოუ „რეაქციას.“ ბათუმში აღნიშნულ გადაცემას არ უყურებს 26.1%, ხოლო დანარჩენ აჭარაში კი - 19.2%.

რაც შეეხება აჭარის ტელევიზიის მიერ მომზადებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებს („ფაქტორი“ და „პირისპირ“), მათი ყურების სიხშირე ასეთია: „ფაქტორს“ (ლაშა ზარგინავა) რეგულარულად ან დრო და დრო უყურებს აჭარის მოსახლეობის 20.2%, ხოლო ადაცემას „პირისპირ“ (ცოტნე ანანიძე) – 13.7%.

დეტალურად პოლიტიკური თოქ-შოუების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში #11:
ცხრილი #11

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ/ სოციალური თოქ-შოუ	რეგულარულად			დროდადრო (არარეგულარულად)			იშვიათად			თითქმის არ უყურებს		
	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა
„პირველი სტუდია“ – 1 არხი (ეკა მიშველამძე)	0.4	-	0.9	4.6	3.1	6.4	15.9	11.3	21.3	79.1	85.6	71.4
„რეალური სივრცე“ – 1 არხი (ნინო ზაუტაშვილი)	0.4	0.8	-	10.7	5.6	16.5	3.0	3.9	2.0	85.9	89.7	81.5
„არგუმენტების დრო“ - მე-2 არხი (ზვიად ავალიანი)	1.2	-	2.7	-	-	-	5.4	5.8	5.0	93.4	94.2	92.3
„არჩევანი“ - რუსთავი 2 (გიორგი გაბუნია)	27.7	15.8	38.3	22.3	29.4	15.9	11.8	10.8	12.6	38.3	44.0	33.2
„განსხვავებული აქცენტები“ (ეკა კვესიტაძე)	7.7	2.9	12.0	5.2	4.3	6.1	4.5	5.9	3.3	82.6	86.9	78.6
„რეაქცია“ - იმედი (ინგა გრიგოლია)	42.8	28.4	56.3	22.6	31.2	14.6	12.1	14.4	9.9	22.5	26.1	19.2
„მაესტროს ცხრიანი“ - მასესტრო (ირაკლი ჩიხლაძე, ხატია ქვათაძე)	6.2	4.1	8.3	7.4	10.1	4.7	8.3	8.8	7.9	78.1	77.0	79.2
„თეორემა“ - ტაბულა (თამარ ჩერგოლეიშვილი)	-	-	-	2.7	6.4	-	-	-	-	97.3	93.6	100.0
„ფაქტორი“ – აჭარის ტელევიზია (ლაშა ზარგინავა)	9.3	11.0	7.7	9.9	7.7	12.1	19.0	13.7	24.0	61.7	67.6	56.2
„პირისპირ“ - აჭარის ტელევიზია (ცოტნე ანანიძე)	6.7	4.6	8.6	7.0	6.9	7.1	8.4	5.9	10.9	77.9	82.7	73.4
„დილოგი“ – 25-ე არხი (ჯაბა ანანიძე)	8.4	8.9	7.9	8.8	8.6	9.0	7.4	4.9	10.8	75.4	77.6	72.4

თოქ-შოუები შეფასდა შემდეგი პარამეტრების საფუძველზე: ობიექტურობა, აქტუალობა, საინტერესოობა და სანდოობა.

მიუხედავად იმისა, რომ, ცალკე აღებული, კარგი მაჩვენებლები აქვს, **ობიექტურობის** პარამეტრის მიხედვით, რუსთავი 2-ის თოქ-შოუ „არჩევანი“ ჩამორჩება ინგა გრიგოლიას „რეაქციას“. კერძოდ: აჭარაში თოქ-შოუ „არჩევანი“ ობიექტურად 60%-ს მიაჩნია, ხოლო „რეაქცია“ – 71.2%-ს (2014 წლის მონაცემებთან შედარებით გაზრდილია „რეაქციას“ ობიექტურობის მაჩვენებელი).

აქტუალობის პარამეტრის მიხედვით, „რეაქციას“ და „არჩევანს“ იდენტური მაჩვენებლები აქვთ (79.6% და 79.7%), განსხვავებით 2014 წლისგან, სადაც „რეაქციას“ აქტუალობის მაჩვენებელი აღემატებოდა „არჩევანის“ იმავე მაჩვენებელს.

საინტერესოობის პარამეტრის მიხედვით იგივე სიტუაციაა, როგორც აქტუალობის პარამეტრის შემთხვევაში: „რეაქციას“ და „არჩევანს“ თითქმის იდენტური მაჩვენებლები აქვთ (78.3% და 77.8%); 2014 წლის მონაცემებისგან განსხვავებით, „რეაქციას“ აქტუალობის მაჩვენებელი აღემატებოდა „არჩევანის“ იმავე მაჩვენებელს.

სანდოობის პარამეტრის მიხედვით, 2014 წლის მონაცემების მსგავსად ლიდერობს „რეაქცია“ (68.9%), რაც დაახლოებით 10%-ით აღემატება „არჩევანის“ ხვედრით წილს (59.5%).

4.3. არაპოლიტიკური თოქ-შოუების ყურების სიხშირე და მათი შეფასება სხვადასხვა პარამეტრის საფუძველზე

2014 წლის მსგავსად, აჭარის ტელევიზიაში, არაპოლიტიკურ გადაცემებს შორის, ყველაზე პოპულარულია „ერთი დღე სოფელში“, რომელსაც რესპონდენტების 44.5% რეგულარულად უყურებს. კარგი მაჩვენებლები აქვს გადაცემებს „სპორტი“, რომელსაც რეგულარულად აჭარის მოსახლეობის 15.5% უყურებს, „მე ვარ ფერმერი“ (13.9%), „ახალი დილა“ (13.7%), „სახლი ბათუმში“ (12.7%). ყველაზე ნაკლებად ყურებადი გადაცემებია: „პროტოტიპი“, „პორტრეტი“, „მგზავრის წერილები“, „მოგზაურობა ფოლკლორში“, „საუბრები გენდერზე“, „ტელესპექტაკლი“, „ქვევრისპირული“, „გალერეა“, „ეთნოფორი“ და „ეკონომეტრი“, რომელთაც დაახლოებით 65-70% თითქმის არასდროს უყურებს (იხ. ცხრილი №13):

უყურებთ თუ არა აჭარის ტელევიზიის მიერ მომზადებულ შემდეგ არაპოლიტიკური თემა-შოუებს, შემეცნებით და გასართობ გადაცემებს?	რეგულარულად	დრო და დრო	იშვიათად	თითქმის არასდროს	არ მხმენიან გადაცემის შესახებ
„ახალი დილა“ (სოფო ხალვაში, ბესო ჩიბურდანიძე)	13.7%	28.9%	18.3%	31.8%	7.3%
„აგრო რჩევები“ (ფირუზ ბოლქვაძე)	6.0%	8.8%	6.8%	64.9%	13.5%
„პარადიგმა“ (ნანა მაკარაძე)	4.3%	10.8%	23.4%	48.0%	13.5%
„ქვეყრისპირული“ (გიორგი ბარისაშვილი)	5.1%	2.7%	10.6%	65.6%	16.0%
„სახლი ბათუმში“ (ბაჩო გურაბაძე)	12.7%	19.9%	20.7%	36.6%	10.2%
„ტურისტი“	6.6%	13.7%	18.2%	48.9%	12.7%
„იმპულსი“ (ირაკლი ფარულავა)	5.4%	13.5%	21.7%	46.9%	12.5%
„პროექცია“ (ზვიად სირაბიძე)	5.9%	9.8%	18.7%	54.5%	11.1%
„რექ-თაიმი“ (ალეკო თხილაიშვილი და ირაკლი ფალავა)	1.7%	8.0%	24.1%	51.3%	14.9%
„არტეოგრამა“ (ხათუნა მანაგაძე)	3.5%	9.6%	24.9%	49.3%	12.6%
„გალერეა“ (ლელია შავიშვილი)	2.5%	1.5%	9.1%	68.7%	17.2%
„ეკომიგრანტები“ (ნერონ აბულაძე)	8.1%	12.5%	20.8%	48.8%	9.8%
„ეთნოფორი“ (მიხეილ გაბაიძე)	5.9%	1.9%	5.5%	69.1%	17.7%
„მე ვარ ფერმერი“ (გიორგი სურმანიძე)	13.9%	15.9%	15.9%	44.7%	9.6%
„ეკონომეტრი“ (თორნიკე მჭავანაძე)	2.3%	2.8%	4.9%	71.5%	18.5%
„ერთი დღე სოფელში“ (ნათია თავდგირიძე)	44.5%	16.2%	15.5%	19.5%	4.2%
„კინოქალაქი“ (ოლიკო ჟდენტი)	9.2%	6.7%	19.7%	54.5%	9.8%
„სცენა“ (ინგა ხალვაში)	5.2%	10.2%	16.2%	58.0%	10.4%
„სპორტი“ (რეზო ჯინჭარაძე, ბესო ჩიბურდანიძე)	15.5%	9.7%	16.1%	51.0%	7.7%
„პროტოტიპი“ (მარი კორინთელი)	1.0%	2.7%	6.5%	69.5%	20.3%
„პორტრეტი“ (ირალი რცხილაძე)	2.4%	4.0%	7.1%	67.2%	19.2%
„მგზავრის წერილები“ (ჰენრი დოლიძე)	3.5%	3.1%	7.3%	68.6%	17.5%
„მოგზაურობა ფოლკლორში“ (გია დიასამიძე)	3.6%	4.3%	4.0%	71.9%	16.3%
„საუბრები გენდერზე“ (გურანდა დოლიძე)	1.4%	2.6%	3.7%	73.8%	18.4%
„ტელესპექტაკლი“ (ნერონ აბულაძე)	1.2%	3.1%	6.3%	71.2%	19.2%

ბათუმშიც, საერთო სურათის მსგავსად (ისევე როგორც 2014 წელს), ყველაზე პოპულარული გადაცემაა „ერთი დღე სოფელში“, რომელსაც ბათუმელების 17.5% - რეგულარულად, ხოლო მეოთხედზე ოდნავ მეტი - დრო და დრო უყურებს. ასევე, 24.3% დროდადრო უყურებს გადაცემას „ახალი დილა“. ბათუმში გამოკითხულთა დიდი რაოდენობა თითქმის არასდროს უყურებს ჩამოთვლილ გადაცემებს. თითქმის ყველა დანარჩენი გადაცემა ნაკლებად პოპულარულია (პასუხის ვარიანტი „თითქმის არასდროს“ თითოეული გადაცემისთვის ვარიანტს 47-74%-ის ფარგლებში)

აჭარის დანარჩენ ტერიტორიაზე უფრო ხშირად უყურებენ ჩამოთვლილ გადაცემებს, ვიდრე ბათუმში. ყველაზე პოპულარული გადაცემა აქაც „ერთი დღე სოფელშია“, რომელსაც გამოკითხულთა 70% რეგულარულად, ხოლო 10.7% - დრო და დრო უყურებს (2014 წლის მონაცემებთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია აღნიშნული გადაცემის რეგულარულად მაყურებელთა დრო). კარგი მაჩვენებლები აქვს გადაცემებს

„სპორტი“, „სახლი ბათუმში“, „ეკომიგრანტები“, „ახალი დილა“ და „მე ვარ ფერმერი“. თითქმის ყველა დანარჩენი გადაცემა ნაკლებად პოპულარულია. იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, ვინც აღნიშნულ გადაცემებს თითქმის არასდროს უყურებს ვარიანტებს დაახლოებით 40-75%-ის ფარგლებში (2014 წლის მონაცემებთან შედარებით გაზრდილია არაპოპულარული გადაცემების მაჩვენებელი).

რესპონდენტებს ოთხ ბალიან სკალაზე უნდა შეეფასებინათ ჩამოთვლილი გადაცემების მიმართ საკუთარი მოწონების ხარისხი. **მოწონება-არმოწონებას განსაზღვრავდნენ მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებმაც უპასუხეს, რომ ხშირად, დრო და დრო ან იშვიათად უყურებდნენ ჩამოთვლილ გადაცემებს.** მონაცემების ანალიზი განხორციელდა საშუალოს (MEAN) საშუალებით, სადაც ნეიტრალური წერტილია 2.5, რომლის ზემოთ მოწონების დადებითი ველია, ხოლო ქვემოთ - უარყოფითი.

აღმოჩნდა, რომ 2014 წლის მონაცემებისგან განსხვავებით, სადაც ზოგადი შედეგების მიხედვით მოწონების ყველაზე მაღალი ხარისხი ჰქონდა გადაცემას „ერთი დღე სოფელში“, 2015 წელს იგივე გადაცემამ შეინარჩუნა წამყვანი პოზიცია (Mean=3.9), თუმცა, მეტ-ნაკლებად ყურებადი არხებიდან, „აგრორჩევები“ (Mean=3.7). 2015 წელს ყველა დასახელებული გადაცემა მოხვდა სკალის პოზიტიური შეფასების ველში (Mean > 2.5-ზე, როგორც ზოგადი მონაცემების, ასევე ბათუმისა და დანარჩენი აჭარის მაჩვენებლების საშუალო მიხედვით) (იხ. ცხრილი №19):

ცხრილი №19

რამდენად მოგწონთ აჭარის ტელევიზიის მიერ მომზადებული არაპოლიტიკური თემა-შოუები, შემეცნებითი და გასართობ გადაცემები, რომლებსაც უყურებთ?	საშუალო ქულა	ბათუმი	დანარჩენი აჭარა
ახალი დილა (სოფო ხალვაში, ბესო ჩიბურდანიძე)	3.2	3.2	3.2
„აგრო რჩევები“ (ფირუზ ბოლქვაძე)	3.7	3.7	3.8
„პარადიგმა“ (ნანა მაკარაძე)	2.6	2.6	2.5
„ქვევრისპირული“ (გიორგი ბარისაშვილი)	3.5	3.3	3.7
„სახლი ბათუმში“ (ბაჩო გურაბანიძე)	2.8	2.9	2.8
„ტურისტები“	2.8	2.8	2.8
„იმპულსი“ (ირაკლი ფარულავა)	3.1	3.1	3.1
„პროექცია“ (ზვიად სირაბიძე)	2.6	2.7	2.5
„რექ-თაიმი“ (ალეკო თხილაიშვილი და ირაკლი ფაღავა)	2.6	2.6	2.6
„არტეოგრამა“ (ხათუნა მანაგაძე)	2.6	2.4	2.7
„გალერეა“ (ლელია შავიშვილი)	3.1	3.5	2.9
„ეკომიგრანტები“ (ნერონ აბულაძე)	2.8	2.6	3.0
„ეთნოფორი“ (მიხეილ გაბაიძე)	3.8	3.9	3.7
„მე ვარ ფერმერი“ (გიორგი სურმანიძე)	3.3	3.1	3.5
„ეკონომეტრი“ (თორნიკე მჭავანაძე)	3.7	4.0	3.6
„ერთი დღე სოფელში“ (ნათია თავდგირიძე)	3.9	3.8	3.9
„კინოქალაქი“ (ოლიგო ჟღენტი)	2.7	2.7	2.6
„სცენა“ (ინგა ხალვაში)	2.7	2.5	2.7

„სპორტი“ (რეზო ჯინჭარაძე, ბესო ჩიბურდანიძე)	2.8	2.8	2.8
„პროტოტიპი“ (მარი კორინთელი)	3.4	3.5	3.0
„პორტრეტი“ (ირალი რცხილაძე)	3.4	3.3	3.4
„მგზავრის წერილები“ (ჰენრი დოლიძე)	3.6	3.8	3.5
„მოგზაურობა ფოლკლორში“ (გია დიასამიძე)	3.6	3.8	3.4
„საუბრები გენდერზე“ (გურანდა დოლიძე)	3.5	3.7	3.0
„ტელესპექტაკლი“ (ნერონ აბულაძე)	3.3	3.8	3.0

მსგავსი ტენდენციას ასაკის მიხედვითაც. განხვავება მხოლოდ ისაა, რომ ახალგაზრდა და უფროსი თაობის მაყურებელი ყველაზე დიდ მოწონებას გამოხატავენ გადაცემების მიმართ „საუბრები გენდერზე“ (Mean= 4.0), ხოლო უფროსი თაობის მაყურებლები ყველაზე მეტად უპირატესობას ანიჭებენ (გარდა დასახელებული ორი გადაცემისა) „კინოქალაქი“, „პროტოტიპი“, „პორტრეტი“, „ტელესპექტაკლი“ (Mean= 4.0 - ყველა გადაცემისთვის). 2014 წელს განსხვავებული მონაცემები დაფიქსირდა - საშუალო მაჩვენებლები ასაკის ჯგუფში იყო ზოგადი მაჩვენებლების მსგავსი. (იხ. ცხრილი №20):

ცხრილი №20

რამდენად მოგწონთ აჭარის ტელევიზიის მიერ მომზადებული არაპოლიტიკური თოქ-შოუები, შემეცნებითი და გასართობ გადაცემები, რომლებსაც უყურებთ? (ასაკის მიხედვით)	ახალგაზრდები (18-34 წლის)	საშუალო ასაკის (35-54 წლის)	უფროსი თაობა (55 და მეტი წლის)
ახალი დილა (სოფო ხალვაში, ბესო ჩიბურდანიძე)	3.3	3.2	3.1
„აგრო რჩევები“ (ფირუზ ბოლქვაძე)	3.7	3.8	3.7
„პარადიგმა“ (ნანა მაკარაძე)	2.7	2.6	2.3
„ქვევრისპირული“ (გიორგი ბარისაშვილი)	3.5	3.7	3.5
„სახლი ბათუმში“ (ბაჩო გურაბანიძე)	2.9	2.8	2.8
„ტურისტები“	2.7	2.7	3.1
„იმპულსი“ (ირაკლი ფარულავა)	3.1	3.1	3.2
„პროექცია“ (ზვიად სირაბიძე)	2.5	2.5	2.6
„რექ-თაიმი“ (ალეკო თხილაიშვილი და ირაკლი ფალავა)	2.4	2.7	2.6
„არტეოგრამა“ (ხათუნა მანაგაძე)	2.6	2.5	2.7
„გალერეა“ (ლეილა შავიშვილი)	3.0	3.0	3.5
„ეკომიგრანტები“ (ნერონ აბულაძე)	2.9	2.8	2.8
„ეთნოფორი“ (მიხეილ გაბაძე)	3.8	3.6	3.9
„მე ვარ ფერმერი“ (გიორგი სურმანიძე)	3.1	3.4	3.5
„ეკონომეტრი“ (თორნიკე მჭავანაძე)	3.0	4.0	3.8
„ერთი დღე სოფელში“ (ნათია თავდგირიძე)	3.8	3.9	3.9
„კინოქალაქი“ (ოლიკო ქლენტი)	2.8	2.7	2.5
„სცენა“ (ინგა ხალვაში)	2.8	2.7	2.6
„სპორტი“ (რეზო ჯინჭარაძე, ბესო ჩიბურდანიძე)	3.3	2.8	2.3
„პროტოტიპი“ (მარი კორინთელი)	3.4	2.5	4.0
„პორტრეტი“ (ირალი რცხილაძე)	3.2	3.4	4.0
„მგზავრის წერილები“ (ჰენრი დოლიძე)	3.3	3.7	3.7
„მოგზაურობა ფოლკლორში“ (გია დიასამიძე)	2.9	3.7	3.9
„საუბრები გენდერზე“ (გურანდა დოლიძე)	4.0	3.0	4.0
„ტელესპექტაკლი“ (ნერონ აბულაძე)	3.8	2.6	4.0

5. აჭარის ტელევიზიის საეთერო დროის გადანაწილება და პრიორიტეტები

რესპონდენტებმა დაასახელეს როგორ უნდა იყოს განაწილებული საეთერო დრო საინფორმაციო, გასართობ და საგანმანათლებლო/შემეცნებით გადაცემებს შორის აჭარის ტელევიზიაში. როგორც საშუალო მონაცემები აჩვენებს, რესპონდენტები თვლიან, რომ შედარებით მეტი დრო უნდა ეთმობოდეს (Mean=37.1). ბათუმში დაახლოებით მსგავსი საშუალო მაჩვენებლები აქვს გასართობ და საგანმანათლებლო/შემეცნებით გადაცემებს, ხოლო დანარჩენ აჭარაში გამოიკვეთა საგანმანათლებლო/შემეცნებით გადაცემები. (იხ. ცხრილი #12)

ცხრილი#12


როგორ უნდა იყოს განაწილებული საეთერო დრო საინფორმაციო, გასართობ და საგანმანათლებლო/შემეცნებით გადაცემებს შორის აჭარის ტელევიზიაში? საეთერო დროის დაახლოებით რამდენი პროცენტი უნდა ეთმობოდეს თითოეულ მათგანს?		სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა
1	საინფორმაციო	31.9	30.6	33.1
2	გასართობი	31.7	34.1	29.7
3	საგანმანათლებლო/შემეცნებითი	37.1	35.7	38.2

შენიშვნა: მონაცემები უნდა გადანაწილებულიყო რესპონდენტების მიერ 100%-ის ფარგლებში

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ აჭარის ტელევიზიის საეთერო დროის გადანაწილება და პროპორცია გადაცემების ტიპებს შორის. აღმოჩნდა, რომ მათი 21%, ძირითადად, კმაყოფილია საინფორმაციო, გასართობ და საგანმანათლებლო/შემეცნებითი გადაცემების პროპორციით. უკმაყოფილოთა რაოდენობა, საერთო ჯამში (პასუხები „უფრო არ პასუხობს, ვიდრე კი“ და „ძირითადად არ პასუხობს“), 32.1%-ია, რაც ოდნავ ნაკლებია, საერთო ჯამში, კმაყოფილთა რაოდენობაზე (40.6%) (იხ. დიაგრამა №4):

დიაგრამა №4

pasuxo bs Ty ar a aWar is t el evi z i i s saeT er o
 d r o i s gad a n a v i l e b a T q u e n t v i s s a s u r v e l
 p r o p o r c i a s s a i n f o n a c i o , g a s a r T o b d a
 s a g a n n a n a T l e b l o / S e n e c h e b i T , g a d a c e n e b s S o r i s ?



რესპონდენტთა მოსაზრებით, აჭარის ტელევიზიას ყველაზე მეტად აკლია საინფორმაციო გადაცემები (2014 წლის მონაცემების მსგავსად) და ასევე ჟურნალისტური გამოძიება. რაც შეეხება მეორე რიგში დასახელებულ გადაცემებს, 2014 წლის მონაცემებთან შედარებით განსხვავებული სიტუაციაა: თუ 1 წლის წინ დასახელდა, რომ მნიშვნელოვანია, ტელევიზიას დაემატოს არაპოლიტიკური, ცხოვრებისეულ პრობლემებზე ორიენტირებული თოქ-შოუები, 2015 წელს დამოკიდებულება შეიცვალა პოლიტიკური, ეკონომიკურ-ანალიტიკური (დაახლ. 44-45%) და სოფლის მეურნეობაზე ორიენტირებული გადაცემების მისამართით (დაახლ. 40%). მესამე რიგში, თუ რესპონდენტები 2014 წელს უპირატესობას ანიჭებენ ჯანმრთელობის თემაზე გადაცემებს, მიმდინარე წელს პრიორიტეტები გადანაწილდა ხელოვნებისა და კულტურის (45.8%), სოფლის მეურნეობის (45%) და კინოს (40.3%) მიმართულებით (იხ. ცხრილი №21):

ცხრილი №21

თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი გადაცემების ტიპებიდან, რომელი აკლია ყველაზე მეტად აჭარის ტელევიზიას?	პირველ რიგში	მეორე რიგში	მესამე რიგში
საინფორმაციო გადაცემები	65.7%	13.5%	20.7%
დილის საინფორმაციო-გასართობი გადაცემები	37.8%	24.0%	38.2%
პოლიტიკური თოქ-შოუები	23.9%	43.5%	32.6%
არაპოლიტიკური, ცხოვრებისეულ პრობლემებზე ორიენტირებული თოქ-შოუები	37.0%	39.6%	23.4%
ეკონომიკურ-ანალიტიკური გადაცემები	15.5%	45.4%	39.1%
ჟურნალისტური გამოძიება	41.6%	32.0%	26.5%
საგანმანათლებლო-შემეცნებითი	35.8%	32.9%	31.4%
საბავშვო გადაცემები	38.2%	33.5%	28.3%
ხელოვნება და კულტურა	18.6%	35.6%	45.8%

თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი გადაცემების ტიპებიდან, რომელი აკლია ყველაზე მეტად აჭარის ტელევიზიას?	პირველ რიგში	მეორე რიგში	მესამე რიგში
ჯანმრთელობის თემაზე გადაცემები	32.1%	38.1%	29.9%
სოფლის მეურნეობის თემაზე გადაცემები	14.4%	40.5%	45.0%
მუსიკალური გადაცემები	31.6%	28.7%	39.7%
კინო	27.3%	32.4%	40.3%
სერიალი	37.4%	31.3%	31.2%
სპორტული გადაცემები	37.2%	28.6%	34.2%

რესპონდენტებს უნდა მოეხდინათ რანჟირება იმისა, თუ რომელი ქვეყნების პროდუქციის ნახვას ისურვებდნენ აჭარის ტელევიზიით. აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი, ქართული პროდუქცია პირველი რანგით შეფასდა ყველაზე ხშირად. მონაცემების 100%-ზე დათვლისას გამოვლინდა, რომ ყველაზე ხშირად რესპონდენტებს ადგილობრივი, ქართული პროდუქციის ნახვა ურჩევნიათ. მეორე რიგში დიდია რუსული ტელეარხების ყურების მსურველთა რიცხვი, ხოლო მესამე რიგში დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის პროდუქციის ნახვის მსურველთა რაოდენობა (2014 წლის მონაცემებში არ ფიგურირებდა რუსული ტელეარხების ნახვის მსურველთა მაღალი ხვედრითი წილი) (იხ. ცხრილი №22):

ცხრილი №22

თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი გადაცემების ტიპებიდან, რომელი აკლია ყველაზე მეტად აჭარის ტელევიზიას?	პირველ რიგში	მეორე რიგში	მესამე რიგში
ადგილობრივი, ქართული წარმოების	88.4%	7.0%	3.3%
რუსეთის	7.6%	59.6%	18.7%
ამერიკის	2.7%	12.8%	36.7%
დასავლეთ ევროპის ქვეყნების	0.4%	15.0%	29.7%
თურქეთის	0.6%	5.2%	10.6%
სხვა ქვეყნების	0.2%	0.5%	1.1%

მსგავსი ტენდენციაა შენარჩუნებული ბათუმის და დანარჩენი აჭარის მონაცემების მიხედვითაც (იხ. ცხრილები №23,24):


თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი გადაცემების ტიპებიდან, რომელი აკლია ყველაზე მეტად აჭარის ტელევიზიას? (ბათუმი)	პირველ რიგში	მეორე რიგში	მესამე რიგში
ადგილობრივი, ქართული წარმოების	82.6%	8.8%	5.1%
რუსეთის	10.9%	54.1%	19.9%
ამერიკის	4.7%	13.5%	37.5%
დასავლეთ ევროპის ქვეყნების	0.9%	15.6%	24.8%
თურქეთის	0.5%	7.1%	11.7%
სხვა ქვეყნების	0.5%	1.0%	1.1%

ცხრილი №24

თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი გადაცემების ტიპებიდან, რომელი აკლია ყველაზე მეტად აჭარის ტელევიზიას? (დანარჩენი აჭარა)	პირველ რიგში	მეორე რიგში	მესამე რიგში
ადგილობრივი, ქართული წარმოების	93.9%	5.1%	1.0%
რუსეთის	4.5%	65.3%	17.2%
ამერიკის	0.8%	12.1%	35.7%
დასავლეთ ევროპის ქვეყნების		14.3%	35.8%
თურქეთის	0.8%	3.2%	9.1%
სხვა ქვეყნების			1.1%

2014 წლის მონაცემების მსგავსად, რესპონდენტების ნახევარზე მეტს ურჩევნია თოქ-შოუ იყოს ისეთ ფორმატის, სადაც სტუდიაში ბევრი ხალხი იქნება (იხ. დიაგრამა №5):


როგორი ფორმატის ტოგ-სოუს ან ვებ-უპირატესობას?



6. სხვადასხვა ატიტუდები აჭარის ტელევიზიის მიმართ


გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „აჭარის ტელევიზია“ დამოუკიდებელი ტელევიზიაა, რომელიც ობიექტურად აშუქებს და აფასებს ქვეყანაში და აჭარაში მიმდინარე პროცესებს და არ არის ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი“. ბათუმში ამ მოსაზრებას 54.4%, ხოლო დანარჩენ აჭარაში - 73.6% აფიქსირებს. შესაბამისად, ბათუმში მეტია ისეთ ადამიანთა რიცხვი (27.9%), რომელიც ფიქრობს, რომ „აჭარის ტელევიზია“ ვერ ახერხებს იყოს ქვეყანაში და აჭარაში მიმდინარე პროცესების ობიექტური გამშუქებელი, რადგან ხელისუფლების ინტერესების გამტარებელია“. მონაცემები 2014 წლის მსგავსია, მცირედენი პროცენტული განსვავებებით (იხ. დიაგრამა №6):

დიაგრამა №6



ანალოგიურად, გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ „აჭარის ტელევიზია“ გამოხატავს რეგიონში არსებული სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს, ეხმაურება მათ საჭიროებებს, პრობლემებს და არ არის მიმართული მხოლოდ კომერციული პროექტების განხორციელებაზე“. მათ რაოდენობა, ვინც ამ მოსაზრებას ეთანხმება, ბათუმში უფრო მცირეა (60.7% - აღნიშნული მაჩვენებელი 12%-ით გაიზარდა 2014 წლის შემდგომ), ვიდრე დანარჩენ აჭარაში (70.9%). შესაბამისად, მათი ხვედრით წილი, ვინც ფიქრობს, რომ „აჭარის ტელევიზია“ კომერციულ სარგებელზეა ორიენტირებული, არ ცდილობს გამოხატოს რეგიონში არსებული სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები, ასახოს მათი საჭიროებები და პრობლემები“, ბათუმში უფრო მაღალია და 24.2%-ს შეადგენს. როგორც ვხედავთ ტენდენციები ამ შემთხვევაშიც 2014 წლის მსგავსია, გარკვეული განსხვავება შეინიშნება მხოლოდ ზოგიერთ პროცენტულ მაჩვენებელში (იხ. დიაგრამა №7):


გენო ტოპოცენული ალტერნატიული
 სეფაზებიდან, როგორც ნატგანსი ზიარებთ ავარი
 ტელევიზიის სესახებ?



მსგავსია ტენდენცია ასაკის მიხედვითაც. 2014 წელს თუ დაფიქსირდა ერთი განსხვავება - უფროსი თაობის წარმომადგენლები, ახალგაზრდებთან და საშუალო ასაკის რესპონდენტებთან შედარებით, გაცილებით იშვიათად მიიჩნევენ, რომ „აჭარის ტელევიზია კომერციულ სარგებელზეა ორიენტირებული, არ ცდილობს გამოხატოს რეგიონში არსებული სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები, ასახოს მათი საჭიროებები და პრობლემები“, 2015 წლის მონაცემების მიხედვით ასაკობრივ ჯგუფში ამგვარი განსხვავება აღარ შეინიშნება (იხ. დიაგრამა №8).

დიაგრამა №8

გვერდი მოცულ იალთერნატიული
 შეფასებებიდან, რომელი ნათანს იზარებთ ავარის
 ტელევიზიის შესახებ?
 (ასაკის მიხედვით)



7. აჭარის რადიოს გადაცემების მოსმენის სიხშირე და შეფასება

კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ აჭარის რადიოს მიერ მომზადებული გადაცემები დაბალრეიტინგულია, მათ პრაქტიკულად მსმენელი არ ჰყავთ, ან უსმენს გამოკითხულთა ძალზე უმნიშვნელო რაოდენობა. ყველა გადაცემასთან მიმართებაში პასუხის ვარიანტის „არ ვუსმენ/არ მსმენია ასეთი გადაცემის შესახებ“ ხვედრითი წილი (როგორც ზოგადი მონაცემების, ასევე ბათუმისა და დანარჩენი აჭარის მიხედვით) ვარირებს 95 – 100 %-ის ფარგლებში. საერთოდ არ აღმოაჩნდა მსმენელი გადაცემა „პოდკასტს“ (იხ. ცხრილი #25)

ცხრილი #25

		რეგულარულად			დროდადრო			იშვიათად			თითქმის არ ვუსმენ/არ მსმენია		
		აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა
		%											
1	ჯანმრთელობა (ინგა მებონია)	1.4	-	2.7	1.6	1.6	1.6	1.7	0.4	3.0	95.5	98.0	92.7
2	აჭარის მარგალიტები (ინგა მებონია)	1.9	-	3.8	1.0	-	2.0	1.4	0.8	1.9	95.7	99.2	92.3
3	ინდიკატორი (ტატო ცეცხლაძე, ნინო ჩხეტია)	-	-	-	-	-	-	0.2	-	0.4	99.8	100	99.6
4	საზოგადოების ხმა (ტატო ცეცხლაძე)	0.6	-	1.1	0.8	-	1.5	0.6	-	1.1	98.1	100	96.2
5	პოდკასტი (ტატო ცეცხლაძე)	1.4	-	-	-	-	-	-	-	-	100	100	100
6	კომპეტენტური პასუხი (მაია ვარშანიძე)	0.2	-	0.4	0.4	-	0.8	-	-	-	99.4	100	98.8
7	მართლმსაჯულება (თამილა დოლიძე)	1.0	0.4	1.6	-	-	-	0.6	-	1.2	98.4	99.6	97.3
8	ჯაზის საათი (თეონა ზედანია)	0.6	-	1.2	1.3	2.5	-	1.8	2.4	1.1	94.6	95.0	97.7
9	მთვარის კლუბი (დათო ტრაპაიძე)	0.4	0.4	0.4	0.2	0.4	-	0.6	1.2	-	98.8	98.0	99.6
10	დილა 104,5 (თეონა ზედანია, ილო შავიშვილი)	-	-	-	0.8	1.2	0.4	-	-	-	99.2	98.8	99.6
11	6-დან 7-მდე (ირმა ჩხაიძე)	-	-	-	0.2	-	0.4	0.2	0.4	-	99.6	99.6	99.6
12	ფერმერის 5 წუთი (ნოდარ ცეცხლაძე)	0.2	0.4	-	0.2	0.4	-	-	-	-	99.6	99.2	100

		რეგულარულად			დროდადრო			იშვიათად			თითქმის არ ვუსმენ/არ მსმენია		
		აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა	აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა
13	საინფორმაციო გამოშვება	0.6	0.9	0.4	1.0	0.8	1.1	0.8	1.7	-	97.6	96.7	98.5

მონაცემებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 85.7% საერთოდ არ უსმენს აჭარის რადიოს გადაცემებს. ყველაზე მეტი ადამიანი (47 რესპონდენტი - 9.2%) უსმენს მხოლოდ ერთ, 19 რესპონდენტი კი -2 გადაცემას. ბათუმსა და დანარჩენ აჭარაში ანალოგიური ტენდენცია ვლინდება. (იხ. ცხრილი #26)

ცხრილი#26

აჭარის რადიოს მიერ მომზადებულ რამდენ გადაცემას უსმენთ?	სულ		ბათუმი		ბათუმის გარდა	
	რაოდ.	%				
			რაოდ.	%	რაოდ.	%
0 არცერთს	427	85.7	215	87.9	212	83.5
1	47	9.2	22	8.8	25	9.6
2	19	3.8	7	2.9	12	4.6
3	4	0.8	1	0.4	3	1.2
4	1	0.2			1	0.4
5	1	0.2			1	0.4
6	1	0.2			1	0.4

რესპონდენტებს ხუთბალიან სკალაზე უნდა შეეფასებინათ ჩამოთვლილი გადაცემები გადაცემების ხარისხი (ძალზე უარყოფითი - ძალზე დადებითი შეფასების მიხედვით). შეფასებას აკეთებდნენ მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებმაც უპასუხეს, რომ ხშირად, დრო და დრო ან იშვიათად უსმენენ ჩამოთვლილ გადაცემებს. მონაცემების ანალიზი განხორციელდა საშუალოს (MEAN) საშუალებით, სადაც ნეიტრალური წერტილია 3, რომლის ზემოთ შეფასების დადებითი ველია, ხოლო ქვემოთ - უარყოფითი.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ გადაცემებს ძალზე ცოტა ადამიანი უსმენს, შეფასებები საკმაოდ მაღალია. ყველა გადაცემა აღმოჩნდა შეფასების დადებით ველში (Mean>3). (იხ. ცხრილი #27)

რადიო გადაცემები		აჭარა სულ	ბათუმი	დანარჩენი აჭარა
1	ჯანმრთელობა (ინგა მეზონია)	3.6	2.6	3.8
2	აჭარის მარგალიტები (ინგა მეზონია)	4.4	3.0	4.6
3	ინდიკატორი (ტატო ცეცხლაძე, ნინო ჩხეტია)	5.0	-	5.0
4	საზოგადოების ხმა (ტატო ცეცხლაძე)	4.4	-	4.4
5	პოდკასტი (ტატო ცეცხლაძე)	-	-	-
6	კომპეტენტური პასუხი (მაია ვარშანიძე)	5.0	-	5.0
7	მართლმსაჯულება (თამილა დოლიძე)	4.4	4.0	4.4
8	ჯაზის საათი (თეონა ზედანია)	3.8	3.8	3.8
9	მთვარის კლუბი (დათო ტრაპაიძე)	3.8	3.6	5.0
10	დილა 104,5 (თეონა ზედანია, ილო შავიშვილი)	3.7	3.3	5.0
11	6-დან 7-მდე (ირმა ჩხაიძე)	5.0	.	5.0
12	ფერმერის 5 წუთი (ნოდარ ცეცხლაძე)	2.5	2.5	.
13	საინფორმაციო გამოშვება	3.6	3.4	4.0